

შპს “იუაი“

კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება

*2023 წლის 30 ივნისით დასრულებული წლისათვის
დამოუკიდებელი აუდიტორის დასკვნასთან ერთად*

დამოუკიდებელ აუდიტორთა დასკვნა..... 1-3

კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება

კონსოლიდირებული სრული შემოსავლის ანგარიშგება..... 4

კონსოლიდირებული ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება..... 5

კონსოლიდირებული საკუთარი კაპიტალის ცვლილებების ანგარიშგება..... 6

კონსოლიდირებული ფულადი ნაკადების ანგარიშგება 7

კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები

1. ინფორმაცია ჯგუფის შესახებ.....	8
2. მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკები	8
3. მნიშვნელოვანი სააღრიცხვო მსჯელობები, შეფასებები და დაშვებები სააღრიცხვო პოლიტიკის გამოყენებაში.....	17
4. შემოსავალი და დარიცხული მისაღები შემოსავალი (WIP).....	17
5. სხვა საოპერაციო ხარჯები	18
6. სხვა არასაოპერაციო შემოსავალი.....	18
7. სხვა არასაოპერაციო ხარჯები	18
8. ძირითადი საშუალებები.....	19
9. სავაჭრო და სხვა მოთხოვნები.....	20
10. დეპოზიტები	20
11. ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები და ნაშთი საბანკო ანგარიშზე გამოყენების შეზღუდვით	20
12. კაპიტალი	21
13. კაპიტალის მართვა	22
14. სავაჭრო და სხვა ვალდებულებები	22
15. გადასახდელი ხელფასები.....	22
16. პირობითი ვალდებულებები და გაუთვალისწინებელი გარემოებები.....	22
17. ნაშთები და ოპერაციები დაკავშირებულ მხარეებთან	23
18. საწარმოთა გაერთიანება.....	24
19. ანგარიშგების პერიოდის შემდგომი მოვლენები	25
მმართველობითი ანგარიშგება	26

დამოუკიდებელ აუდიტორთა დასკვნა

შპს „იუაის“ პარტნიორებს

პირობითი მოსაზრება

ჩვენ ჩავატარეთ შპს „იუაის“ (შემდგომში „კომპანია“) და მისი შვილობილი კომპანიის შპს „ერნსტ ენდ იანგ აუდიტის“ (ერთად მოხსენიებული როგორც „ჯგუფი“, ხოლო ცალ-ცალკე „ჯგუფის საწარმოები“) კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების აუდიტი, რომელიც შედგება კონსოლიდირებული ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებისგან 2023 წლის 30 ივნისის მდგომარეობით, აღნიშნული თარიღით დამთავრებული წლის კონსოლიდირებული სრული შემოსავლის ანგარიშგებისგან, კონსოლიდირებული საკუთარი კაპიტალის ცვლილებების ანგარიშგებისგან და კონსოლიდირებული ფულადი ნაკადების მოძრაობის ანგარიშგებისგან, ასევე მნიშვნელოვან სააღრიცხვო პოლიტიკის მიმოხილვასა და სხვა ახსნითი ხასიათის ინფორმაციის შემცველ განმარტებითი შენიშვნებისგან.

ჩვენი აზრით, გარდა პირობითი დასკვნის საფუძვლის სექციაში მოცემული საკითხების შესაძლო ეფექტებისა, თანდართული კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება, ყველა არსებითი ასპექტის გათვალისწინებით, სამართლიანად ასახავს ჯგუფის კონსოლიდირებულ ფინანსურ მდგომარეობას 2023 წლის 30 ივნისის მდგომარეობით, ასევე მისი საქმიანობის კონსოლიდირებულ ფინანსურ შედეგებსა და კონსოლიდირებული ფულადი სახსრების მოძრაობას ამავე თარიღით დასრულებული წლისთვის, ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების მცირე და საშუალო საწარმოებისათვის („მსს ფასს“) შესაბამისად.

პირობითი მოსაზრების საფუძველი

ჯგუფის ხელმძღვანელობას, შვილობილი კომპანიისთვის, არ გამოუყენებია პროცენტული შესრულების მეთოდი მომსახურების გაწევიდან მიღებული ამონაგების აღიარებისთვის, რომელიც აღრიცხულია კონსოლიდირებული სრული შემოსავლის ანგარიშგებაში 1,508 ათასი ლარის ოდენობით 2023 წლის 30 ივნისით დასრულებული წლისათვის, როგორც მოითხოვს მსს ფასს მოდული 23 - ამონაგები. აღნიშნული ფაქტი წარმოადგენს გადახვევას მსს ფასს-ის 23 განყოფილების - "ამონაგების" სახელმძღვანელო პრინციპებისგან. გარდა ამისა შვილობილი კომპანიის შეძენის თარიღისთვის, ხელმძღვანელობას არ განუსაზღვრავს შეძენილი იდენტიფიცირებადი აქტივების და აღებული ვალდებულებების სამართლიანი ღირებულება, როგორც ეს მოითხოვება მსს ფასს-ის 19 განყოფილების - „საწარმოთა გაერთიანება და გუდვილის“ მიხედვით. დამატებით, კლიენტმა ვერ წარმოადგინა ინფორმაცია შვილობილი კომპანიის საგადასახადო ბარათზე არსებული თანხების და ფინანსურ ანგარიშგებაში აღრიცხული თანხების შეჯერების შესახებ, რომლის ოდენობა შეადგენს 84 ათას ლარს. შესაბამისად, ჩვენ ვერ შევძელით ამონაგების გადათვლა პროცენტული შესრულების მეთოდით, ასევე ვერ შევძელით საწარმოთა გაერთიანების შედეგად მიღებული უარყოფითი გუდვილის სისწორის განსაზღვრა და ვერ შევაჯერეთ საგადასახადო ბარათზე არსებული თანხები კონსოლიდირებულ ფინანსურ ანგარიშგებაში აღრიცხულ თანხებთან, საკმარისი ინფორმაციის არქონის გამო ამ ამონაგებთან, საწარმოს იდენტიფიცირებადი აქტივების და ვალდებულებების წმინდა რეალურ ღირებულებასთან და საგადასახადო ვალდებულებებთან დაკავშირებით. შედეგად, ჩვენ ვერ დავადგინეთ, შეიძლება ყოფილიყო თუ არა საჭირო კორექტირება ამონაგებთან, უარყოფით გუდვილთან მიმართებაში 2023 წლის 30 ივნისით დასრულებული წლისათვის და საგადასახადო ვალდებულებებთან 2023 წლის 30 ივნისის მდგომარეობით, და მათთან დაკავშირებულ ელემენტებზე, რომლებიც შეადგენენ კონსოლიდირებული ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებას 2023 წლის 30 ივნისის მდგომარეობით, კონსოლიდირებული სრული შემოსავლის ანგარიშგებას, კონსოლიდირებული კაპიტალში ცვლილებებისა და კონსოლიდირებული ფულადი ნაკადების ანგარიშგებას აღნიშნული თარიღით დასრულებული წლისათვის.

ჩვენ აუდიტი ჩავატარეთ აუდიტის საერთაშორისო სტანდარტების (ასს) შესაბამისად. ჩვენი პასუხისმგებლობა ხსენებული სტანდარტების საფუძველზე აღწერილია დასკვნის სექციაში *აუდიტორთა პასუხისმგებლობა კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების აუდიტზე*. ჩვენ ვართ ჯგუფისგან დამოუკიდებლები „ბუღალტერთა ეთიკის სტანდარტების საერთაშორისო საბჭოს“ „პროფესიონალ ბუღალტერთა ეთიკის კოდექსის“ (IESBA კოდექსი) შესაბამისად და საქართველოში კონსოლიდირებული ფინანსურ ანგარიშგების აუდიტისთვის რელევანტურ ეთიკურ მოთხოვნებთან ერთად, და ასევე ვართ შესაბამისობაში IESBA კოდექსის სხვა ეთიკურ პასუხისმგებლობებთან. რომ აუდიტის მსვლელობისას მოპოვებული მტკიცებულებები წარმოადგენს პირობითი აუდიტორული დასკვნისათვის საკმარის და მართებულ საფუძველს.

სხვა ინფორმაცია

ხელმძღვანელობა პასუხს აგებს მმართველობით ანგარიშგებაზე. ჩვენი მოსაზრება კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების შესახებ არ მოიცავს მმართველობით ანგარიშგებას.

კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების აუდიტთან დაკავშირებით ჩვენი პასუხისმგებლობა მოიცავს მმართველობითი ანგარიშის წაკითხვას, და შესაბამისად იმის განსაზღვრას, არის თუ არა მმართველობითი ანგარიში არსებითად შეუსაბამო კონსოლიდირებულ ფინანსურ ანგარიშგებასთან ან აუდიტის პროცესში ჩვენს მიერ მოპოვებულ ცოდნასთან, ან სხვაგვარად ხომ არ მოიცავს ის არსებით უზუსტობებს. როგორც განმარტებულია ჩვენი პირობითი მოსაზრების საფუძველის სექციაში, ჩვენ დავადგინეთ, შეიძლება ყოფილიყო თუ არა საჭირო კორექტირება ამონაგებთან, უარყოფით გუდვილთან მიმართებაში 2023 წლის 30 ივნისით დასრულებული წლისათვის და საგადასახადო ვალდებულებებთან 2023 წლის 30 ივნისის მდგომარეობით, და მათთან დაკავშირებულ ელემენტებზე, რომლებიც შეადგენენ კონსოლიდირებული ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებას 2023 წლის 30 ივნისის მდგომარეობით, კონსოლიდირებული სრული შემოსავლის ანგარიშგებას, კონსოლიდირებული კაპიტალში ცვლილებებისა და კონსოლიდირებული ფულადი ნაკადების ანგარიშგებას აღნიშნული თარიღით დასრულებული წლისათვის.

ჩვენ არ გამოვთქვამთ რაიმე სახის მარწმუნებელ მოსაზრებას მმართველობით ანგარიშგებასთან დაკავშირებით. ჩვენ გავცვანით მმართველობით ანგარიშგებას და ჩვენს მიერ ჩატარებული სამუშაოს საფუძველზე ვასკვნით, რომ მმართველობითი ანგარიშგება:

- შეესაბამება კონსოლიდირებულ ფინანსურ ანგარიშგებას;
- მოიცავს ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის შესახებ საქართველოს კანონით მოთხოვნილ და მასთან შესაბამისობაში მყოფ ინფორმაციას.

ხელმძღვანელობასა და მმართველობაზე პასუხისმგებელ პირთა პასუხისმგებლობა კონსოლიდირებულ ფინანსურ ანგარიშგებაზე

ხელმძღვანელობა პასუხისმგებელია კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების მომზადებასა და კეთილსინდისიერად წარდგენაზე, მცირე და საშუალო საწარმოების ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების (მსს ფასს) შესაბამისად, ასევე შიდა კონტროლის ისეთი მექანიზმების შემუშავებაზე, რომლებსაც ხელმძღვანელობა საჭიროდ მიიჩნევს თაღლითობის ან შეცდომის შედეგად დაშვებული არსებითი უზუსტობებისგან თავისუფალი კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების მოსამზადებლად.

კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების მომზადებისას, ხელმძღვანელობა პასუხისმგებელია ჯგუფის უნარის შეფასებაზე, განაგრძოს ფუნქციონირება, როგორც მოქმედმა საწარმომ, და მოახდინოს მსგავსი შეფასების წარდგენა მანამ, სანამ ხელმძღვანელობას არ გაუჩნდება სურვილი მოახდინოს ჯგუფის ლიკვიდაცია ან შეწყვიტოს მუშაობა, ან არ ექნება რაიმე სხვა რეალური ალტერნატივა, გარდა ზემოთ განსაზღვრული მოქმედებებისა.

ხელმძღვანელობაზე პასუხისმგებელი პირები პასუხს აგებენ ჯგუფის კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების პროცესის ზედამხედველობაზე.

აუდიტორის პასუხისმგებლობა კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების აუდიტზე

ჩვენს მიზანს წარმოადგენს, გონივრული რწმუნების მიღება იმის თაობაზე არის თუ არა კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება მთლიანობაში თავისუფალი თაღლითობის ან შეცდომის შედეგად დაშვებული არსებითი უზუსტობებისგან და აუდიტორთა დასკვნის გაცემა, რომელიც მოიცავს ჩვენს მოსაზრებას. გონივრული რწმუნება არის რწმუნების მაღალი დონე, მაგრამ ის არ წარმოადგენს გარანტიას იმისა, რომ ასს-ს საფუძველზე ჩატარებული აუდიტი ყოველთვის შეძლებს არსებული არსებითი უზუსტობების გამოვლენას. უზუსტობები შესაძლოა წარმოიშვას თაღლითობის ან შეცდომის შედეგად და მიიჩნევა არსებითად, თუ მათ შეუძლიათ, ცალკე ან ერთობლივად, გავლენა მოახდინონ

მომხმარებელთა ეკონომიკურ გადაწყვეტილებებზე, რომლებიც მიიღება ამ კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების საფუძველზე.

ასს-ს შესაბამისად, აუდიტის მსვლელობისას, ჩვენ ვიყენებთ პროფესიულ მსჯელობას და ვინარჩუნებთ პროფესიულ სკეპტიციზმს. ასევე, ჩვენ:

- ვახდენთ კონსოლიდირებული ფინანსურ ანგარიშგებაში თაღლითობის ან შეცდომის შედეგად არსებითი უზუსტობების დაშვების რისკების იდენტიფიცირებას და მათ შეფასებას, ამ რისკების შესაბამისი აუდიტორული პროცედურების დაგეგმვას და განხორციელებას და ისეთი აუდიტორული მტკიცებულებების მოპოვებას, რომლებიც საკმარისი და შესაბამისი იქნება ჩვენი მოსაზრების გამოთქმის უზრუნველსაყოფად. თაღლითობის შედეგად წარმოშობილი არსებითი უზუსტობების არ გამოვლენის რისკი უფრო მაღალია, ვიდრე შეცდომით გამოწვეული არსებითი უზუსტობის, რადგან თაღლითობა შესაძლოა მოიცავდეს უკანონო ფარულ გარიგებებს, გაყალბებებს, განზრახ უმოქმედობას, ფაქტების დამახინჯებას ან შიდა კონტროლის მექანიზმების უგულვებელყოფას;
- ვახდენთ აუდიტის შესაბამისი შიდა კონტროლის მექანიზმების გააზრებას ვითარების შესაბამისი აუდიტორული პროცედურების დასაგეგმად და არა ჯგუფის შიდა კონტროლის მექანიზმების ეფექტურობის შესახებ აზრის გამოსახატავად;
- ვაფასებთ გამოყენებული სააღრიცხვო პოლიტიკების შესაბამისობას, ასევე ხელმძღვანელობის მხრიდან წარმოდგენილი სააღრიცხვო შეფასებებისა და განმარტებითი შენიშვნების მიზანშეწონილობას;
- გამოგვაქვს დასკვნა ხელმძღვანელობის მიერ მოქმედი საწარმოს საბუღალტრო საფუძვლების გამოყენების მიზანშეწონილობის შესახებ, ასევე მიღებული აუდიტორული მტკიცებულებების საფუძველზე ვასკვნი, აქვს თუ არა ადგილი არსებით გაურკვევლობებს ისეთ მოვლენებსა და ვითარებებთან მიმართებაში, რომლებმაც შესაძლოა ეჭვის ქვეშ დააყენოს ჯგუფის უნარი განაგრძოს ფუნქციონირება როგორც მოქმედმა საწარმომ. თუ ჩვენ დავასკვნით, რომ ადგილი აქვს არსებით გაურკვევლობას, ჩვენს აუდიტორთა დასკვნაში ყურადღება უნდა გავამახვილოთ კონსოლიდირებულ ფინანსურ ანგარიშგებაში შესაბამის ინფორმაციაზე, ან თუ ამგვარი ინფორმაცია არაადეკვატური იქნება, ჩვენი მოსაზრებაც მოდიფიცირებული იქნება. ჩვენი მსჯელობები ეფუძნება ჩვენი აუდიტორთა დასკვნის შედგენის თარიღამდე მიღებულ აუდიტორულ მტკიცებულებებს. ამასთან, მომავალში წარმოშობილმა მოვლენებმა და შექმნილმა ვითარებებმა შესაძლოა აიძულოს ჯგუფი შეწყვიტოს ფუნქციონირება, როგორც მოქმედმა საწარმომ;
- ვაფასებთ კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების მთლიან წარმოდგენას, მის სტრუქტურას და შინაარსს, მათ შორის განმარტებით შენიშვნებს და იმას, წარმოაჩენს თუ არა კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება ძირითად ოპერაციებს და მოვლენებს ისეთი ფორმით, რომ უზრუნველყოფილ იქნას სამართლიანად წარდგენა.

სხვა მრავალ საკითხთან ერთად, ხელმძღვანელობაზე პასუხისმგებელ პირებს ვუზიარებთ ინფორმაციას აუდიტის მასშტაბისა და ვადების, ასევე მნიშვნელოვანი აუდიტორული მსჯელობების შესახებ, მათ შორის ჩვენს მიერ აუდიტის პროცესში აღმოჩენილი შიდა კონტროლის მექანიზმებთან დაკავშირებული ნებისმიერი მნიშვნელოვანი ხარვეზის შესახებ.

პარტნიორი აუდიტისა, რომლის შედეგადაც მოცემული დამოუკიდებელ აუდიტორთა დასკვნა გაიცა, არის:

მარიამ არაქელაშვილი

შპს „იუ ეიჩ ვაი“

თბილისი, საქართველო

27 დეკემბერი 2024 წელი

სხვა მრავალ საკითხთან ერთად, ხელმძღვანელობაზე პასუხისმგებელ პირებს ვუზიარებთ ინფორმაციას აუდიტის მასშტაბისა და ვადების, ასევე მნიშვნელოვანი აუდიტორული მსჯელობების შესახებ, მათ შორის ჩვენს მიერ აუდიტის პროცესში აღმოჩენილი შიდა კონტროლის მექანიზმებთან დაკავშირებული ნებისმიერი მნიშვნელოვანი ხარვეზის შესახებ.

პარტნიორი აუდიტისა, რომლის შედეგადაც მოცემული დამოუკიდებელ აუდიტორთა დასკვნა გაიცა, არის:



მარიამ არაქელაშვილი

შპს „იუ ეიზ ვაი“

თბილისი, საქართველო

27 დეკემბერი 2024 წელი

კონსოლიდირებული სრული შემოსავლის ანგარიშგება

2023 წლის 30 ივნისით დასრულებული საანგარიშგებო წლისათვის

თანხები ლარში

		2023 წლის 30 ივნისით დასრულებული წლისთვის	2022 წლის 30 ივნისით დასრულებული წლისთვის
ამონაგები მომსახურების გაწევიდან	4	17,979,187	19,141,188
საერთო შემოსავალი		17,979,187	19,141,188
ხელფასი და თანამშრომელთა სხვა სარგებელი		(13,762,736)	(13,004,681)
შესყიდული მომსახურების ხარჯები		(2,362,898)	(999,429)
იჯარის და კომუნალური ხარჯები		(881,382)	(830,983)
პროფესიული გადამზადების ხარჯები		(457,868)	(252,073)
ამორტიზაცია და ცვეთა		(400,300)	(319,977)
მარკეტინგის ხარჯები		(220,400)	(71,725)
მივლინების ხარჯები		(161,434)	(93,924)
საოფისე ხარჯები		(125,662)	(71,606)
საოფისე ტექნიკის და კომუნიკაციის ხარჯები		(99,335)	(90,053)
ტრანსპორტირების ხარჯები		(40,251)	(25,226)
დაზღვევის ხარჯები		(35,916)	(30,743)
წარმომადგენლობითი ხარჯები		(24,341)	(8,320)
სხვა საოპერაციო ხარჯები	5	(235,901)	(510,213)
საოპერაციო საქმიანობის შედეგები		(829,237)	2,832,235
კურსთა შორის სხვაობით მიღებული ზარალი		(1,567,872)	(1,289,216)
სხვა არასაოპერაციო შემოსავალი	6	233,042	54,307
სხვა არასაოპერაციო ხარჯები	7	(128,294)	(58,836)
საპროცენტო შემოსავალი		151,281	227,848
შესყიდვიდან მიღებული სავაჭრო მოგება		80,000	-
(ზარალი) / მოგება გადასახადით დაბეგვრამდე		(2,061,080)	1,766,338
მოგების გადასახადის ხარჯი	12 (ბ)	-	(286,205)
წლის (ზარალი) / მოგება		(2,061,080)	1,480,133
სხვა სრული შემოსავალი		26,000	-
წლის სრული (ზარალი) / შემოსავალი		(2,035,080)	1,480,133

წინამდებარე კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება დამოწმებულია ხელმძღვანელობის მიერ და მათი სახელით ხელმოწერილია 2024 წლის 27 დეკემბერს შემდეგი პირების მიერ:

რუსლან ხოროშვილი

მმართველი პარტნიორი

შპს „იუაი“

ქეთევან ხარაბაძე

ფინანსური დირექტორი

შპს „იუაი“


კონსოლიდირებული სრული შემოსავლის ანგარიშგება


2023 წლის 30 ივნისით დასრულებული საანგარიშგებო წლისათვის

თანხები ლარში

	შენიშვნა	2023 წლის 30 ივნისით დასრულებული წლისთვის	2022 წლის 30 ივნისით დასრულებული წლისთვის
ამონაგები მომსახურების გაწევიდან საერთო შემოსავალი	4	17,979,187 <u>17,979,187</u>	19,141,188 <u>19,141,188</u>
ხელფასი და თანამშრომელთა სხვა სარგებელი		(13,762,736)	(13,004,681)
შესყიდული მომსახურების ხარჯები		(2,362,898)	(999,429)
იჯარის და კომუნალური ხარჯები		(881,382)	(830,983)
პროფესიული გადამზადების ხარჯები		(457,868)	(252,073)
ამორტიზაცია და ცვეთა		(400,300)	(319,977)
მარკეტინგის ხარჯები		(220,400)	(71,725)
მივლინების ხარჯები		(161,434)	(93,924)
საოფისე ხარჯები		(125,662)	(71,606)
საოფისე ტექნიკის და კომუნიკაციის ხარჯები		(99,335)	(90,053)
ტრანსპორტირების ხარჯები		(40,251)	(25,226)
დაზღვევის ხარჯები		(35,916)	(30,743)
წარმომადგენლობითი ხარჯები		(24,341)	(8,320)
სხვა საოპერაციო ხარჯები	5	(235,901)	(510,213)
საოპერაციო საქმიანობის შედეგები		<u>(829,237)</u>	<u>2,832,235</u>
კურსთა შორის სხვაობით მიღებული ზარალი		(1,567,872)	(1,289,216)
სხვა არასაოპერაციო შემოსავალი	6	233,042	54,307
სხვა არასაოპერაციო ხარჯები	7	(128,294)	(58,836)
საპროცენტო შემოსავალი		151,281	227,848
შესყიდვიდან მიღებული სავაჭრო მოგება (ზარალი) / მოგება გადასახადით დაბეგრამდე		<u>80,000</u>	<u>-</u>
მოგების გადასახადის ხარჯი	12 (ბ)	-	(286,205)
წლის (ზარალი) / მოგება		<u>(2,061,080)</u>	<u>1,480,133</u>
სხვა სრული შემოსავალი		26,000	-
წლის სრული (ზარალი) / შემოსავალი		<u>(2,035,080)</u>	<u>1,480,133</u>

წინამდებარე კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება დამოწმებულია ხელმძღვანელობის მიერ და მათი სახელით ხელმოწერილია 2024 წლის 27 დეკემბერს შემდეგი პირების მიერ:


 რუსლან ხოროშვილი
 მმართველი პარტნიორი
 შპს „იუაი“


 ქეთევან ხარაბაძე
 ფინანსური დირექტორი
 შპს „იუაი“

კონსოლიდირებული ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება

2023 წლის 30 ივნისის მდგომარეობით

თანხები ლარში

	შენიშვნა	30 ივნისი 2023	30 ივნისი 2022
აქტივები			
გრძელვადიანი აქტივები			
ძირითადი საშუალებები	8	874,231	695,228
არამატერიალური აქტივები		446	980
ძირითად საშუალებებზე გადახდილი ავანსები		16,539	36,945
სულ გრძელვადიანი აქტივები		891,216	733,153
მიმდინარე აქტივები			
სავაჭრო და სხვა მოთხოვნები	9	3,992,647	2,734,938
გაცემული ავანსები		421,486	55,734
დეპოზიტები	10	2,617,700	2,928,900
ნაშთი საბანკო ანგარიშზე გამოყენების შეზღუდვით	11 (ა)	403,750	-
ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები	11 (ბ)	8,742,885	11,901,874
სულ მიმდინარე აქტივები		16,178,468	17,621,446
სულ აქტივები		17,069,684	18,354,599
საკუთარი კაპიტალი და ვალდებულებები			
საკუთარი კაპიტალი	12		
საწესდებო კაპიტალი		21,500	21,500
გაუნაწილებელი მოგება		13,090,147	15,151,227
უცხოურ ვალუტაში კონვერტაციის რეზერვი		26,000	-
სულ საკუთარი კაპიტალი		13,137,647	15,172,727
მიმდინარე ვალდებულებები			
სავაჭრო და სხვა ვალდებულებები	14	1,493,326	714,094
მიღებული ავანსები		208,446	311,827
საგადასახადო ვალდებულებები, მოგების გადასახადის გარდა		247,538	25,839
გადასახდელი ხელფასები	15	1,982,727	2,130,112
სულ მიმდინარე ვალდებულებები		3,932,037	3,181,872
სულ ვალდებულებები		3,932,037	3,181,872
სულ საკუთარი კაპიტალი და ვალდებულებები		17,069,684	18,354,599

კონსოლიდირებული საკუთარი კაპიტალის ცვლილებების ანგარიშგება

2023 წლის 30 ივნისით დასრულებული საანგარიშგებო წლისათვის

თანხები ლარში

	შენიშვნა	საწესდებო კაპიტალი	გაუნაწილებელი მოგება	უცხოურ ვალუტაში კონვერტაციის რეზერვი	სულ კაპიტალი
ნაშთი 2021 წლის 1 ივლისის მდგომარეობით		21,500	15,292,924	-	15,314,424
წლის მოგება		-	1,480,133	-	1,480,133
წლის სრული შემოსავალი		-	1,480,133	-	1,480,133
დივიდენდი	12 (ბ)	-	(1,621,830)	-	(1,621,830)
ნაშთი 2022 წლის 30 ივნისის მდგომარეობით		21,500	15,151,227	-	15,172,727
წლის ზარალი		-	(2,061,080)	-	(2,141,080)
უცხოურ ვალუტაში კონვერტაციით გამოწვეული მოგება		-	-	26,000	26,000
წლის სრული ზარალი		-	(2,061,080)	26,000	(2,115,080)
ნაშთი 2023 წლის 30 ივნისის მდგომარეობით		21,500	13,090,147	26,000	13,137,647

კონსოლიდირებული ფულადი ნაკადების ანგარიშგება

2023 წლის 30 ივნისით დასრულებული საანგარიშგებო წლისათვის

თანხები ლარში

	შენიშვნა	2023 წლის 30 ივნისით დასრულებული წლისთვის	2022 წლის 30 ივნისით დასრულებული წლისთვის
ფულადი ნაკადები საოპერაციო საქმიანობიდან (ზარალი) / მოგება, მოგების გადასახადით დაბეგვრამდე		(2,061,080)	1,766,338
არაფულადი კორექტირებები:			
ამორტიზაცია და ცვეთა		400,344	319,975
საექვო ვალის რეზერვის ხარჯი		79,134	378,794
ძირითადი საშუალებების გაყიდვიდან მიღებული შემოსულობა, ნეტო		(15,551)	(547)
საპროცენტო შემოსავალი		(151,281)	(227,848)
საკურსო სხვაობიდან მიღებული წმინდა ზარალი		1,567,872	1,289,216
შესყიდვიდან მიღებული სავაჭრო მოგება		(80,000)	-
საოპერაციო ფულადი ნაკადები საბრუნავი კაპიტალის ცვლილებებამდე		(260,562)	3,525,928
საბრუნავი კაპიტალის კორექტირებები:			
ცვლილება წინასწარ გადახდილ გადასახადებში მოგების გადასახადის გარდა		260,876	(141,637)
ცვლილება სავაჭრო და სხვა მოთხოვნებში		(641,235)	702,576
ცვლილება გაცემულ ავანსებში		(297,752)	(8,601)
ცვლილება სავაჭრო და სხვა ვალდებულებებში		594,360	(1,211,677)
ცვლილება მიღებულ ავანსებში		(1,154,381)	154,474
ცვლილება გადასახდელ ხელფასებში		(147,385)	(620,740)
საოპერაციო საქმიანობაში (გამოყენებული) / მიღებული წმინდა ფულადი სახსრები მოგების გადასახადის გადახდამდე		(1,646,079)	2,400,323
გადახდილი მოგების გადასახადი		-	(286,205)
საოპერაციო საქმიანობაში (გამოყენებული) / მიღებული წმინდა ფულადი ნაკადები		(1,646,079)	2,114,118
ფულადი ნაკადები საინვესტიციო საქმიანობიდან			
სადეპოზიტო სერტიფიკატში დაბანდებული თანხები, ნეტო		1,900	3,158,454
ძირითადი საშუალებების და არამატერიალური აქტივის შეძენა		(364,326)	(324,921)
ცვლილება ძირითად საშუალებებზე გადახდილ ავანსებში		20,406	86,158
ძირითადი საშუალებების რეალიზაციით მიღებული შემოსავალი		15,551	547
მიღებული პროცენტი	2.1	151,281	285,188
საინვესტიციო საქმიანობაში (გამოყენებული) / მიღებული წმინდა ფულადი ნაკადები		(175,188)	3,205,426
ფულადი ნაკადები საფინანსო საქმიანობიდან			
გადახდილი დივიდენდი	12(ბ)	-	(1,621,830)
ფინანსურ საქმიანობაში გამოყენებული წმინდა ფულადი ნაკადები		-	(1,621,830)
წმინდა (შემცირება) / ზრდა ფულად სახსრებსა და მათ ეკვივალენტებში		(1,821,267)	3,697,714
ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები წლის დასაწყისში		11,901,874	9,072,803
დამატებები საწარმოთა გაერთიანების შედეგად	19	188,000	-
წმინდა საკურსო სხვაობა ფულად სახსრებსა და მათ ეკვივალენტებზე		(1,121,972)	(868,643)
ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები წლის ბოლოს	11	9,146,635	11,901,874

1. ინფორმაცია ჯგუფის შესახებ

წინამდებარე კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება მოიცავს შპს „იუაის“ (შემდგომში „კომპანია“) და მისი შვილობილი კომპანიის (შპს „ერნსტ ენდ იანგ აუდიტი“) ფინანსურ ანგარიშგებას (ერთად მოხსენიებული როგორც „ჯგუფი“, ხოლო ცალ-ცალკე „ჯგუფის საწარმოები“).

შპს „იუაი“ (შემდგომში „კომპანია“) დაარსდა საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად 2002 წელს, (საიდენტიფიკაციო ნომერი: 204441158) საქართველოში, ქალაქ თბილისში. კომპანიის იურიდიული და ფაქტიური მისამართია საქართველო, თბილისი, ძველი თბილისის რაიონი, კ.აფხაზის ქ., №44.

კომპანიას 2023 წლის მაისში მფლობელობაში გადაეცა ყირგიზეთის კანონმდებლობის ქვეშ რეგისტრირებული შპს „ერნსტ ენდ იანგ აუდიტის“ (საიდენტიფიკაციო კოდი: 01602201010265) 100%-იანი წილი, რომლის 99% წილს შესყიდვამდე ფლობდა ყაზახეთის კანონმდებლობის ქვეშ რეგისტრირებული შეზღუდული პასუხისმგებლობის მქონე ამხანაგობა „ერნსტ ენდ იანგი“ (საიდენტიფიკაციო კოდი: 041140002277) და 1% წილს - ნიდერლანდების კანონმდებლობის ქვეშ რეგისტრირებული კომპანია „ერნსტ ენდ იანგ (დსთ) ბი. ვი.“.

2023 წლის 30 ივნისის მდგომარეობით, კომპანიის მესაკუთრეები არიან: შეზღუდული პასუხისმგებლობის კომპანია ერნსტ ენდ იანგ ჰოლდინგს (დსთ) ბი. ვი. 49%, რუსლან ხოროშვილი 27%, ანა კუსრაშვილი 12% და დიმიტრი იურგელევიჩი 12%, ხოლო 2022 წლის 30 ივნისის მდგომარეობით კომპანიის წილობრივი მფლობელობა გადანაწილებული იყო შემდეგნაირად: შეზღუდული პასუხისმგებლობის კომპანია ერნსტ ენდ იანგ ჰოლდინგს (დსთ) ბი. ვი. 49%, მარჩელო გელაშვილი 12.75%, ოლეგ იუშენკოვი 12.75%, რუსლან ხოროშვილი 12.75% და ანასტასია ვინოგრადოვა 12.75%.

ჯგუფი არის, გაერთიანებულ სამეფოში დაფუძნებული „ერნსტ ენდ იანგ გლობალ ლიმიტედის“ (შემდგომში EYG) წევრი. კომპანიის ძირითად საქმიანობას წარმოადგენს აუდიტორული, საგადასახადო და საკონსულტაციო მომსახურების გაწევა საქართველოში, ხოლო შვილობილი კომპანიის ძირითადი საქმიანობაა აუდიტორული მომსახურების გაწევა ყირგიზეთში.

2. მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკები

2.1 მომზადების საფუძველი

ჯგუფის 2023 წლის 30 ივნისით დასრულებული წლის კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება მოამზადა ბუღალტრული აღრიცხვის საერთაშორისო სტანდარტების საბჭოს („ბასს“) მიერ გამოშვებული მცირე და საშუალო საწარმოებისთვის ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების („მსს ფასს-ის სტანდარტები“) მიხედვით.

მსს ფასს-ის სტანდარტების მიხედვით მომზადებულ ამ კონსოლიდირებულ ფინანსურ ანგარიშგებაში ყველა თანხა წარმოდგენილია ქართულ ლარში („ლარი“), თუ სხვა რამე არ არის მითითებული.

მსს ფასს-ის სტანდარტების მიხედვით მომზადებული ეს კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია პირვანდელი ღირებულების მეთოდის გამოყენებით.

წინამდებარე კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება მომზადდა ფუნქციონირებადი საწარმოს პრინციპზე დაყრდნობით, რაც გულისხმობს აქტივების რეალიზაციას და ვალდებულებების დაფარვას ჩვეულებრივი საქმიანობის პირობებში.

2.2 მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკის მიმოხილვა

(ა) კონსოლიდაციის საფუძველი

(i) შვილობილი კომპანიები

შვილობილი კომპანიები წარმოადგენს ჯგუფის მიერ კონტროლირებულ საწარმოებს. ჯგუფი აკონტროლებს საწარმოს, როდესაც ის ექვემდებარება ან როდესაც მას აქვს უფლება ცვლად მონაგებზე საწარმოში მისი ჩართულობიდან და როდესაც მას შესწევს უნარი იმოქმედოს ამგვარ მონაგებზე საწარმოში მისი უფლებამოსილების გამოყენებით. შვილობილი კომპანიების ფინანსური ანგარიშგება შესულია კონსოლიდირებულ ფინანსურ ანგარიშგებაში კონტროლის დაწყების თარიღიდან, მისი დასრულების თარიღამდე. შვილობილი კომპანიების სააღრიცხვო პოლიტიკები შეიცვალა, როდესაც საჭირო გახდა მათი ჯგუფის მიერ მიღებულ პოლიტიკებზე მორგება.

2.2 მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკის მიმოხილვა (გაგრძელება)

(ii) კონსოლიდაციისას ელიმინირებული ოპერაციები

ჯგუფის შიდა ოპერაციებიდან წარმოშობილი ჯგუფის შიდა ნაშთები და ოპერაციები, ასევე ნებისმიერი ჯგუფის შიდა ოპერაციებიდან წარმოშობილი არარეალიზებული შემოსავალი და ხარჯები, ელიმინირდება.

(ბ) ფინანსური ინსტრუმენტები

ფინანსური აქტივებისა და ვალდებულებების აღიარება ხდება, როდესაც ჯგუფი ხდება ინსტრუმენტების სახელშეკრულებო პირობების მონაწილე.

ფინანსური აქტივები და ვალდებულებები თავდაპირველად ფასდება სამართლიანი ღირებულებით. გარიგების დანახარჯები, რომლებიც პირდაპირ განეკუთვნება ფინანსური აქტივების ან ფინანსური ვალდებულებების შეძენას ან გამოშვებას (მოგებაში ან ზარალში სამართლიანი ღირებულებით აღრიცხული ფინანსური აქტივებისა და ფინანსური ვალდებულებების გარდა), პირველადი აღიარებისას, შესაბამისად, ემატება ან აკლდება ფინანსური აქტივებისა თუ ფინანსური ვალდებულებების სამართლიან ღირებულებას. გარიგების დანახარჯები, რომლებიც პირდაპირ განეკუთვნება მოგებაში ან ზარალში სამართლიანი ღირებულებით აღრიცხული ფინანსური აქტივებისა და ფინანსური ვალდებულებების შეძენას ან გამოშვებას, მაშინვე აღიარდება მოგებაში ან ზარალში. ფინანსური აქტივები იყოფა შემდეგ კონკრეტულ კატეგორიებად: სამართლიანი ღირებულებით შეფასებულ და მოგებაში ან ზარალში ასახულ ფინანსურ აქტივებად, დაფარვის ვადამდე ფლობილ საინვესტიციო ფასიან ქაღალდებად, გასაყიდად გამიზნულ ფინანსურ აქტივებად, სესხებად და მისაღებ ანგარიშებად. კლასიფიკაცია დამოკიდებულია ფინანსური აქტივის ხასიათსა და მიზნობრიობაზე და განისაზღვრება თავდაპირველი აღიარებისას. ჯგუფის ძირითადი ფინანსური აქტივები წარმოადგენს ფულად სახსრებს, დეპოზიტებს და ფინანსურ აქტივებს სავაჭრო და სხვა მოთხოვნებში.

ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მეთოდი

ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მეთოდი არის სავალო ინსტრუმენტის ამორტიზებული ღირებულების გამოთვლისა და საპროცენტო შემოსავლის შესაბამისი პერიოდზე განაწილების მეთოდი. ეფექტური საპროცენტო განაკვეთი არის განაკვეთი, რომლის მეშვეობით ხორციელდება ფულადი სახსრების შეფასებული სამომავლო მიღების (მათ შორის გადახდილი ან მიღებული საზღაური და გადახდები, რომელიც ეფექტური საპროცენტო განაკვეთის შემადგენელი ნაწილია, გარიგების დანახარჯები და სხვა პრემია ან ფასდაკლებები) ზუსტად დისკონტირება სავალო ინსტრუმენტის მომსახურების ვადის განმავლობაში, ან, საჭიროებისამებრ, უფრო ხანმოკლე პერიოდში, თავდაპირველად აღიარებულ წმინდა საბალანსო ღირებულებამდე. სავალო ინსტრუმენტებისთვის შემოსავალი აღიარდება ეფექტური საპროცენტო განაკვეთის საფუძველზე.

ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები

კონსოლიდირებული ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში წარმოდგენილი ფულადი სახსრები და ფულადი სახსრების ეკვივალენტები შედგება ბანკებში განთავსებული სახსრებისგან, რომელთაც აქვთ განთავსებიდან 90 დღის ვადა და თავისუფალნი არიან საკონტრაქტო ვალდებულებებისაგან.

დეპოზიტები

დეპოზიტების შემდგომი შეფასება ასევე ხდება ამორტიზებული ღირებულებით, ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მეთოდის გამოყენებით. მოსალოდნელი უიმედო თანხების შესაბამისი რეზერვები აღიარდება კონსოლიდირებული სრული შემოსავლის ანგარიშგებაში, როდესაც არსებობს აქტივის გაუფასურების ობიექტური მტკიცებულება. აღიარებული რეზერვი ფასდება აქტივის საბალანსო ღირებულებასა და მოსალოდნელი მომავალი ფულადი ნაკადების მიმდინარე ღირებულებას შორის სხვაობის სახით, რომელიც დისკონტირდება თავდაპირველი აღიარებისას დაანგარიშებული ეფექტური საპროცენტო განაკვეთით.

სავაჭრო და სხვა მოთხოვნები

სავაჭრო და სხვა მოთხოვნების (გარდა დარიცხული შემოსავლის ნაშთის) შემდგომი შეფასება ხდება ამორტიზებული ღირებულებით, ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მეთოდის გამოყენებით. მოკლევადიანი სავაჭრო და სხვა მოთხოვნები, რომლებსაც პროცენტი არ ერიცხება, ნომინალური ღირებულებით აღირიცხება. მოსალოდნელი უიმედო თანხების შესაბამისი რეზერვები აღიარდება კონსოლიდირებული სრული შემოსავლის ანგარიშგებაში, როდესაც არსებობს აქტივის გაუფასურების ობიექტური მტკიცებულება. აღიარებული რეზერვი ფასდება აქტივის საბალანსო ღირებულებასა და მოსალოდნელი მომავალი ფულადი ნაკადების მიმდინარე ღირებულებას შორის სხვაობის სახით, რომელიც დისკონტირდება თავდაპირველი აღიარებისას დაანგარიშებული ეფექტური საპროცენტო განაკვეთით.

2.2 მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკის მიმოხილვა (გაგრძელება)

(ბ) ფინანსური ინსტრუმენტები (გაგრძელება)

(i) ფინანსური აქტივები

ფინანსური აქტივების გაუფასურება

კონსოლიდირებული ანგარიშგების ყოველი პერიოდის ბოლოს ფინანსური აქტივები ფასდება შესაძლო გაუფასურების ნიშნების აღმოსაჩენად. ფინანსური აქტივები გაუფასურებულად ითვლება მაშინ, როდესაც არსებობს ობიექტური მტკიცებულება იმისა, რომ ფინანსური აქტივის პირველადი აღიარების შემდეგ დამდგარმა ერთმა ან ერთზე მეტმა მოვლენამ გავლენა მოახდინა ინვესტიციიდან მოსალოდნელ სამომავლო ფულად ნაკადებზე.

ყველა დანარჩენი ფინანსური აქტივის შემთხვევაში, გაუფასურების ობიექტური მტკიცებულება იქნება:

- ▶ ემიტენტის ან კონტრაგენტის მნიშვნელოვანი ფინანსური სირთულეები;
- ▶ ხელშეკრულების პირობების დარღვევა, როგორც არის ძირითადი თანხის ან პროცენტის გადაუხდელობა ან გადახდის დაგვიანება;
- ▶ მოსალოდნელია მსესხებლის გაკოტრება ან ფინანსური რეორგანიზაცია; ან
- ▶ აღნიშნული ფინანსური აქტივის აქტიური ბაზრის გაუჩინარება ფინანსური სირთულეების გამო.

ამორტიზებული ღირებულებით შეფასებული ფინანსური აქტივების შემთხვევაში, გაუფასურების ზარალის ოდენობა განისაზღვრება, როგორც სხვაობა აქტივის საბალანსო ღირებულებასა და სამომავლო ფულადი ნაკადების დღევანდელ ღირებულებას შორის, რომელიც მიიღება ფინანსური აქტივის თავდაპირველი ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მეშვეობით დისკონტირებით.

თვითღირებულებით აღრიცხული ფინანსური აქტივების შემთხვევაში, გაუფასურების ზარალის ოდენობა განისაზღვრება, როგორც სხვაობა აქტივის საბალანსო ღირებულებასა და სამომავლო ფულადი ნაკადების დღევანდელ ღირებულებას შორის, რომელიც მიიღება ანალოგიურ ფინანსურ აქტივზე არსებული საბაზრო უკუგების განაკვეთის მეშვეობით დისკონტირებით. ასეთი გაუფასურების ზარალი მომდევნო პერიოდებში არ შებრუნდება.

ფინანსური აქტივის საბალანსო ღირებულება პირდაპირ მცირდება გაუფასურების ზარალით ყველა ფინანსური აქტივის შემთხვევაში. გამოწვეულია სავაჭრო დებიტორული დავალიანებები, რომელთა შემთხვევაშიც საბალანსო ღირებულება მცირდება გაუფასურების რეზერვის ანგარიშის გამოყენებით. თუ სავაჭრო დებიტორული დავალიანება უიმედოდ ჩაითვლება, ის ჩამოიწერება გაუფასურების რეზერვის ანგარიშიდან. ჩამოწერილი თანხების შემდგომი აღდგენა ხდება გაუფასურების რეზერვის ანგარიშის კრედიტის მხარეზე ასახვით. გაუფასურების რეზერვის ანგარიშის საბალანსო ღირებულებაში ცვლილებების აღიარება ხდება კონსოლიდირებული სრული შემოსავლის ანგარიშგებაში.

ამორტიზებული ღირებულებით შეფასებული ფინანსური აქტივების შემთხვევაში, თუ მომდევნო პერიოდში გაუფასურების ზარალი შემცირდება და ეს შემცირება შეიძლება ობიექტურად უკავშირდებოდეს გაუფასურების აღიარების შემდეგ დამდგარ გარემოებას, უკვე აღიარებული გაუფასურების ზარალი აღიარდება მოგებაში ან ზარალში ასახვის მეშვეობით იმდენად, რომ გაუფასურების შებრუნების თარიღისთვის არსებული ინვესტიციის საბალანსო ღირებულება არ აღემატებოდეს იმ ამორტიზირებად ღირებულებას, რომელიც გვექნებოდა, გაუფასურება რომ არ აღიარებულიყო.

ფინანსური აქტივების აღიარების შეწყვეტა

ჯგუფი წყვეტს ფინანსური აქტივის აღიარებას, როდესაც იწურება ხელშეკრულებით გათვალისწინებული უფლებები აქტივიდან ფულადი ნაკადების მიღებაზე ან როდესაც სხვა მხარეს გადასცემს ფინანსურ აქტივს და ამ აქტივის საკუთრებასთან დაკავშირებულ თითქმის ყველა რისკსა და სარგებელს. თუ ჯგუფი არც გადასცემს და არც ინარჩუნებს საკუთრებასთან დაკავშირებულ არსებითად ყველა რისკსა და სარგებელს და აგრძელებს გადაცემული აქტივის კონტროლს, ჯგუფი აღიარებს თავის შენარჩუნებულ ინტერესს აქტივში და მასთან დაკავშირებულ ვალდებულებაში, იმ თანხების ოდენობით, რომელთა გადახდაც მას შეიძლება მოუხდეს. თუ ჯგუფი ინარჩუნებს გადაცემული ფინანსური აქტივის საკუთრებასთან დაკავშირებულ არსებითად ყველა რისკსა და სარგებელს, ჯგუფი აგრძელებს ფინანსური აქტივის აღიარებას და ასევე აღიარებს ამ აქტივით უზრუნველყოფილ სესხს, იმ თანხის ოდენობით რა თანხასაც ჯგუფი მიიღებს.

ფინანსური აქტივის მთლიანობაში აღიარების შეწყვეტის შემთხვევაში, აქტივის საბალანსო ღირებულებასა და მიღებულ თანხას, დებიტორულ დავალიანებასა და სხვა სრულ შემოსავალში აღიარებულ და კაპიტალში დაგროვილ ჯამურ შემოსავალს ან ზარალს შორის არსებული სხვაობის აღიარება ხდება მოგებაში ან ზარალში.

2.2 მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკის მიმოხილვა (გაგრძელება)

(ბ) ფინანსური ინსტრუმენტები (გაგრძელება)

(i) ფინანსური აქტივები (გაგრძელება)

ფინანსური აქტივის აღიარების არასრულად შეწყვეტის შემთხვევაში (მაგ. როდესაც ჯგუფი იტოვებს გადაცემული აქტივის ნაწილის გამოსყიდვის უფლებას), ჯგუფი ფინანსური აქტივის თავდაპირველ საბალანსო ღირებულებას გადაანაწილებს იმ ნაწილზე, რომელშიც მონაწილეობის შენარჩუნებასაც აღიარებს, და იმ ნაწილზე, რომელსაც აღარ აღიარებს, გადაცემის თარიღისთვის მათი ფარდობითი სამართლიანი ღირებულებების მიხედვით. აღიარება შეწყვეტილი ნაწილისთვის მიკუთვნებულ საბალანსო ღირებულებასა და აღიარება შეწყვეტილ ნაწილში მიღებული საზღაურისა და მასზე განაწილებული და სხვა სრულ შემოსავალში აღიარებული დაგროვილი ნამეტი შემოსავლის ან ზარალის ჯამს შორის სხვაობის აღიარება ხდება მოგებაში ან ზარალში. დაგროვილი შემოსულობა ან ზარალი, რომელიც აღიარებულია სხვა სრულ შემოსავალში ნაწილდება იმ ნაწილს, რომლის აღიარებაც გრძელდება და აღიარება შეწყვეტილ ნაწილს შორის მათი ფარდობითი სამართლიანი ღირებულებების მიხედვით.

(ii) ფინანსური ვალდებულებები

ფინანსური ვალდებულებები (სავაჭრო და სხვა ვალდებულებები) შემდგომში ფასდება ამორტიზებული ღირებულებით, ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მეთოდის მეშვეობით.

ფინანსური ვალდებულებების აღიარების შეწყვეტა

ჯგუფი ფინანსური ვალდებულებების აღიარებას წყვეტს მაშინ და მხოლოდ მაშინ, როდესაც ჯგუფის მოვალეობები შესრულებულია, გაუქმებულია ან ვადაგასულია. შეწყვეტილი ფინანსური ვალდებულების საბალანსო ღირებულებასა და გადახდილ და გადასახდელ კომპენსაციას შორის სხვაობა კონსოლიდირებული სრული შემოსავლის ანგარიშგებაში აღიარდება.

(გ) რეალური ღირებულების შეფასება

რეალური ღირებულება არის ფასი, რომელიც მიღებული ან გადახდილი იქნებოდა აქტივის გაყიდვიდან ან ვალდებულების გადაცემისას, შეფასების თარიღისთვის ბაზრის მონაწილეებს შორის ნებაყოფლობით განხორციელებული ოპერაციის დროს.

- ▶ მოცემული აქტივის ან ვალდებულების ძირითად ბაზარზე; ან
- ▶ მოცემული აქტივისთვის, ან ვალდებულებისთვის ყველაზე ხელსაყრელ ბაზარზე, თუ არ არსებობს ძირითადი ბაზარი.

ძირითადი ან ყველაზე ხელსაყრელი ბაზარი უნდა იყოს ხელმისაწვდომი საწარმოსათვის.

ჯგუფი აქტივის ან ვალდებულების სამართლიან ღირებულებას ისეთი დაშვებების გამოყენებით აფასებს, რომლებსაც ბაზრის მონაწილეები გამოიყენებდნენ აქტივის ან ვალდებულების ფასის დადგენისას, თუკი იმოქმედებენ საკუთარი ეკონომიკური ინტერესების შესაბამისად.

ჯგუფი ირჩევს შეფასების მეთოდებს, რომლებიც შესაფერისია არსებული გარემოებებისთვის და რომელთა გამოყენებითაც რეალური ღირებულების შესაფასებლად საკმარისი მონაცემები მოიძებნება, რომლის დროსაც მაქსიმალურად იყენებენ საბაზრო მონაცემებს და მინიმალურად - არასაბაზრო მონაცემებს.

(დ) ძირითადი საშუალებები

ძირითადი საშუალებები: კომპიუტერული და ქსელური აღჭურვილობა, სატრანსპორტო საშუალებები, საიჯარო ქონების გაუმჯობესება, ოფისის და სხვა აღჭურვილობა აღრიცხულია თვითღირებულებით, საიდანაც გამოკლებულია აკუმულირებული ცვეთა და გაუფასურების შედეგად მიღებული აკუმულირებული ზარალი.

ძირითადი საშუალებების მუხლის პირვანდელი ღირებულება მოიცავს (ა) მის ნასყიდობის ღირებულებას, მათ შორის იმპორტის მოსაკრებელს და შესყიდვის არადაბრუნებად გადასახადებს, სავაჭრო ფასდათმობების და ფასდაკლებების გამოკლების შემდეგ; (ბ) ნებისმიერ თვითღირებულებას, რომელიც პირდაპირ უკავშირდება მუხლის მისთვის საჭირო ადგილზე და პირობებში მისათანად, რათა უზრუნველყოფილი იყოს ჯგუფის ხელმძღვანელობის მიერ განსაზღვრული წესით ფუნქციონირება; (გ) დემონტაჟისა და ტერიტორიიდან გატანის ხარჯებს ასევე, იმ ტერიტორიის აღდგენის ღირებულებას, რომელზედაც ამგვარი აქტივი იყო განთავსებული, და (დ) იმ ვალდებულებას, რომელსაც კისრულობს ჯგუფი აქტივის შეძენისას ან, მუხლის გამოყენების შედეგად კონკრეტული პერიოდის განმავლობაში, რისი მიზანიც არ არის ამ პერიოდში სასაქონლო-მატერიალური მარაგების წარმოება.

2.2 მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკის მიმოხილვა (გაგრძელება)**(დ) ძირითადი საშუალებები (გაგრძელება)**

ამის შემდეგ, კაპიტალიზებული ხარჯები მოიცავს გაუმჯობესებების და ჩანაცვლებების მთავარ დანახარჯებს, რომელიც ახანგრძლივებს აქტივების სასარგებლო მომსახურების ვადებს და ზრდის მათ მიერ შემოსავლის გენერირების შესაძლებლობას. რემონტის და ტექნიკური მომსახურების ხარჯი, რომელიც არ აკმაყოფილებს კაპიტალიზაციის ზემოთ ხსენებულ კრიტერიუმებს, აისახება კონსოლიდირებული სრული შემოსავლის ანგარიშგებაში, მათი გაწევისთანავე.

ძირითად აქტივებზე ცვეთა ირიცხება ისეთი ფორმით, რომ ჩამოიწეროს ცვეთადი ღირებულება აქტივის სასარგებლო მომსახურების ვადაზე და ის დაანგარიშდება პროპორციული ჩამოწერის მეთოდის გამოყენებით. ძირითადი საშუალებების ჯგუფების სასარგებლო მომსახურების ვადები არის შემდეგი:

ძირითადი საშუალებების კატეგორიები	სასარგებლო გამოყენების ვადები წლების მიხედვით
სატრანსპორტო საშუალებები	5
კომპიუტერული და ქსელური აღჭურვილობა	3-5
ოფისის აღჭურვილობა	7
საიჯარო ქონების გაუმჯობესება	10 (ან იჯარის ამოწურვამდე)
სხვა აღჭურვილობა	5

ცვეთადი ღირებულება წარმოადგენს სხვაობას ძირითადი საშუალებების თვითღირებულებისა და მის ნარჩენ ღირებულებას შორის. ნარჩენი ღირებულება წარმოადგენს სავარაუდო თანხას, რომელსაც ჯგუფი ძირითადი საშუალებების მუხლის გასხვისებიდან მიიღება, გასხვისების სავარაუდო ხარჯების გამოკლებით, აქტივი უკვე მოძველებული და ისეთ მდგომარეობაში რომ ყოფილიყო, როგორც მოსალოდნელია სასარგებლო გამოყენების ვადის დასრულებისთვის.

ნარჩენი ღირებულება, სასარგებლო მომსახურების ვადა და ცვეთის დარიცხვის მეთოდი ყოველი ფინანსური წლის ბოლოს გადაიხედება. წინა შეფასებების ნებისმიერი ცვლილების ეფექტი პერსპექტიულად აღირიცხება, სააღრიცხვო შეფასებების ცვლილების სახით.

ძირითადი საშუალებების მუხლის გაყიდვიდან ან განკარგვიდან მიღებული შემოსულობა ან ზარალი განისაზღვრება, როგორც აქტივის გაყიდვიდან მიღებულ შემოსავალსა და მის საბალანსო ღირებულებას შორის სხვაობა და მისი აღიარება ხდება კონსოლიდირებული სრული შემოსავლის ანგარიშგებაში.

(ე) საოპერაციო იჯარა

იჯარები კლასიფიცირდება ფინანსურ იჯარებად, იჯარის პერიოდის განმავლობაში, როდესაც ხდება საიჯარო აქტივის საკუთრებასთან დაკავშირებული ყველა რისკის და უფლების გადაცემა. ყველა სხვა იჯარა საოპერაციო იჯარებად კლასიფიცირდება.

როდესაც ჯგუფი მოიჯარეა და საკუთრებასთან დაკავშირებული არსებითად ყველა რისკი და უკუგება არ გადაეცემა ჯგუფის მეიჯარის მიერ, მაშინ იჯარის მთლიანი გადახდები იჯარის მომსახურების ვადის განმავლობაში წრფივი მეთოდით აისახება მოცემული წლის კონსოლიდირებული სრული შემოსავლის ანგარიშგებაში. იჯარის ვადა არის შეუწყვეტადი პერიოდი, რომლისთვისაც მოიჯარემ ხელშეკრულება გააფორმა მოცემული აქტივის იჯარით გაცემაზე, იმ დამატებით ვადასთან ერთად, რომლის განმავლობაშიც მეიჯარეს ამ აქტივის იჯარით ფლობის გაგრძელების ოფციონი აქვს, შემდგომი გადახდებით თუ გადახდების გარეშე, როდესაც საიჯარო ურთიერთობის დაწყებისას გონივრულად სარწმუნოა, რომ მეიჯარე გამოიყენებს ამ ოფციონს.

(ვ) არაფინანსური აქტივების გაუფასურება

ჯგუფის არაფინანსური აქტივების საბალანსო ღირებულება, მარაგების გარდა, გადაიხედება ანგარიშგების წარდგენის ყოველი თარიღისათვის, რათა დადგინდეს, არსებობს თუ არა გაუფასურების რაიმე ნიშნები. მსგავსი ნიშნების არსებობის შემთხვევაში, ფასდება აქტივის ანაზღაურებადი ღირებულება.

გაუფასურების ტესტის მიზნით, აქტივები რომლებიც ვერ შემოწმდება კონსოლიდირებულად, ჯგუფდება აქტივების უმცირეს ჯგუფებად, რაც ახდენს ფულადი ნაკადების შემოღინების წარმოქმნას განგრძობითი სარგებლობისთვის, რომლებიც დამოუკიდებელნი არიან სხვა აქტივების ფულადი შემოღინებისგან ან ფულადი სახსრების წარმომქმნელი ერთეულებისგან.

2.2 მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკის მიმოხილვა (გაგრძელება)

(ვ) არაფინანსური აქტივების გაუფასურება (გაგრძელება)

ჯგუფის კორპორაციული აქტივები არ ახდენენ ცალკე ფულადი ნაკადების გენერირებას და ისინი გამოიყენება ფულადი ნაკადის წარმომქმნელი ერთზე მეტი ერთეულის მიერ. კორპორაციული აქტივები მიეკუთვნება ფულადი ნაკადის წარმომქმნელ ერთეულს გონივრულ და თანმიმდევრულ საფუძველზე და მოწმდება გაუფასურებაზე, იმ ფულადი ნაკადის წარმომქმნელი ერთეულის გაუფასურების შეფასების ფარგლებში, რომელსაც კორპორაციული აქტივი მიეკუთვნება.

აქტივის ან ფულადი ნაკადის წარმომქმნელი ერთეულის ანაზღაურებადი ღირებულება არის მის გამოყენებით ღირებულებასა და რეალურ ღირებულებას (გამოკლებული გაყიდვის ხარჯები) შორის უდიდესი. გამოყენებითი ღირებულების შეფასებისას, მომავალში მისაღები ფულადი ნაკადების მიმდინარე დისკონტირებული ღირებულება (გადასახადების გადახდამდე დისკონტის განაკვეთის გამოყენებით) ასახავს ბაზრის მიმდინარე შეფასებას ფულის ღირებულების დროში და ამ აქტივებისთვის ან ფულადი სახსრების წარმომქმნელ ერთეულისთვის დამახასიათებელ რისკებს.

გაუფასურების ზარალის აღიარება ხდება, თუ აქტივის ან მასთან დაკავშირებული ფულადი სახსრების წარმომქმნელი ერთეულის საბალანსო ღირებულება აღემატება მის მოსალოდნელ ანაზღაურებად ღირებულებას.

გაუფასურების ზარალი აისახება კონსოლიდირებული სრული შემოსავლის ანგარიშგებაში. ფულადი ნაკადის წარმომქმნელ ერთეულთან მიმართებაში აღიარებული გაუფასურების ზარალი თავდაპირველად დაერიცხება აქტივის ერთეულს პროპორციული გადანაწილების საფუძველზე და შეამცირებს ფულადი ნაკადის წარმომქმნელ ერთეულში შემავალი სხვა აქტივების საბალანსო ღირებულებას.

წინა პერიოდებში აღიარებული გაუფასურების ზარალი ფასდება ყველა საანგარიშგებო თარიღისთვის იმის თაობაზე, შემცირდა თუ არა ზარალი ან კვლავაც არსებობს თუ არა ზარალი. გაუფასურების ზარალი უკუგატარებას ექვემდებარება მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ აქტივის საბალანსო ღირებულება არ აღემატება იმ საბალანსო ღირებულებას (გაუფასურების ან ამორტიზაციის გამოკლებით), რაც იქნებოდა განსაზღვრული გაუფასურების ზარალის არ არსებობის შემთხვევაში.

(ზ) დასაქმებულ პირთა გასამრჯელოები

დასაქმებულ პირთა მოკლევადიანი გასამრჯელოების ვალდებულება შეფასებულია არადისკონტირებულ საფუძველზე და აღიარდება ხარჯად დაკავშირებული სერვისის მიწოდებასთან ერთად. ვალდებულება აღიარებულია მოსალოდნელი ღირებულებით, რაც გადახდილ იქნება მოკლევადიანი ფულადი ბონუსის სახით თუ ჯგუფს აქვს მიმდინარე საკონტრაქტო ან კონსტრუქციული ვალდებულება რომ გადაიხადოს ეს თანხა წარსულში დაქირავებულის მხრიდან მიწოდებული სერვისის შედეგად და ამ ვალდებულების შეფასება საიმედოდ შეიძლება.

(თ) გადასახადები

(i) მოგების გადასახადი

მოგების გადასახადის ხარჯი მოიცავს მიმდინარე საგადასახადო დავალიანებას.

საწარმოების მიერ მიღებული წლიური მოგება, გარდა ბანკებისა, სადაზღვევო კომპანიებისა და მიკროსაფინანსო ორგანიზაციებისა, 2017 წლის 1 იანვრიდან საქართველოში არ იხვერება. მოგების გადასახადით დაიხვერება დივიდენდების სახით იმ აქციონერებზე განაწილებული მოგება, რომლებიც არიან ფიზიკური პირები ან არარეზიდენტები საქართველოში.

ამგვარი მოგება დაანგარიშდება განაწილებული წმინდა თანხიდან 15/85 განაკვეთის გამოყენებით. დივიდენდების გადახდით წარმოქმნილი მოგების გადასახადი აღირიცხება, როგორც ვალდებულება და ხარჯი იმ პერიოდში, რომელშიც დივიდენდები გამოცხადდა, მიუხედავად იმისა, თუ ფაქტობრივად რომელი თარიღით ან რომელ პერიოდში მოხდა დივიდენდების გადახდა. გარკვეულ შემთხვევებში დასაშვებია დარიცხული საგადასახადო დავალიანებიდან გამოქვითვები, რომლებიც აღირიცხება, როგორც შესაბამისი განაწილებასთან დაკავშირებული მოგების გადასახადის ხარჯის შემცირება. საქართველოს საგადასახადო სისტემის თავისებურებიდან გამომდინარე, საქართველოში რეგისტრირებულ საწარმოებს არ წარმოეშობათ გადავადებული საგადასახადო აქტივები და ვალდებულებები. ჯგუფის აქციონერებისთვის დივიდენდის განაწილებასთან დაკავშირებით დაკავებული გადასახადი კონსოლიდირებული საკუთარი კაპიტალის ცვლილებების ანგარიშგებაში აღიარებულია კაპიტალიდან გამოქვითვის სახით.

2.2 მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკის მიმოხილვა (გაგრძელება)

(თ) გადასახადები (გაგრძელება)

საქართველოს საგადასახადო კანონმდებლობა ასევე ითვალისწინებს მოგების გადასახადით გარკვეული გარიგებების დაბეგვრას, რომლებიც ითვლება პირობითი მოგების განაწილებად (მაგალითად, არასაბაზრო ფასებით აღრიცხული გარიგებები, ბიზნეს საქმიანობასთან დაუკავშირებელი ხარჯები, ან საქონლისა და მომსახურების უსასყიდლო მიწოდება). ამგვარი გარიგებების დაბეგვრა აღირიცხება საოპერაციო გადასახადების ანალოგიურად და აღირიცხება კონსოლიდირებული სრული შემოსავლის ანგარიშგების საოპერაციო ხარჯებში.

(ii) გადავადებული გადასახადი

ზემოთ აღწერილი ახალი საგადასახადო სისტემის ხასიათიდან გამომდინარე, საქართველოში რეგისტრირებული საწარმოები არ განასხვავებენ აქტივების საგადასახადო ბაზას და მათ საბალანსო ღირებულებებს და, შესაბამისად, გადავადებული საგადასახადო აქტივები და ვალდებულებები არ წარმოიშვება.

(iii) დამატებული ღირებულების გადასახადი

შემოსავლების, ხარჯებისა და აქტივების აღიარება ხდება დამატებული ღირებულების გადასახადის თანხის გამოკლებით, გარდა იმ შემთხვევებისა:

- ▶ როდესაც აქტივების ან მომსახურების შესყიდვაზე დარიცხული დამატებული ღირებულების გადასახადი არ ექვემდებარება საგადასახადო ორგანოსგან დაბრუნებას, რა შემთხვევაშიც დამატებული ღირებულების გადასახადის აღიარება მოხდება აქტივის შესყიდვაზე გაწეულ დანახარჯებში ან ხარჯის მუხლში, კონკრეტული შემთხვევიდან გამომდინარე;
- ▶ დებიტორული და კრედიტორული დავალიანებისა, რომელიც მოიცავს დამატებული ღირებულების გადასახადს.

საგადასახადო ორგანოებისთვის გადასახადელი ან მათგან დასაბრუნებელი დამატებული ღირებულების გადასახადის წმინდა ოდენობა ასახულია კონსოლიდირებული ფინანსური მდგომარეობის ანგარიშის წმინდა საგადასახადო აქტივის ან წმინდა საგადასახადო ვალდებულების ნაწილში.

(iv) წინასწარ გადახდილი გადასახადები და საგადასახადო დავალიანება

წინასწარ გადახდილი გადასახადები ნომინალური ღირებულებით აღირიცხება მოსალოდნელი უიმედო თანხების რეზერვის გამოკლებით. მოგების გადასახადის გარდა სხვა საგადასახადო დავალიანება ნომინალური ღირებულებით აღირიცხება.

(ი) მომწოდებლებისთვის გადახდილი ავანსები

გადახდილი ავანსი აღირიცხება თვითღირებულებით, შემცირებული გაუფასურების ანარცხებით. თუ არსებობს ნიშანი, რომ გადახდილ ავანსთან დაკავშირებული აქტივები, საქონელი ან მომსახურება არ მიიღება, გადახდილი ავანსის საბალანსო ღირებულება შესაბამისად ჩამოიწერება და გაუფასურების ზარალი წლის კონსოლიდირებული სრული შემოსავლის ანგარიშგებაში აღიარდება.

(კ) მიღებული ავანსები

მიღებული ავანსები წარმოადგენს კლიენტებისგან, გაწეული მომსახურებისათვის წინასწარ მიღებულ თანხებს და აღირიცხება თვითღირებულებით. ჯგუფი ახდენს მიღებული ავანსების შემოსავალში აღიარებას, მომსახურების გაწევის პროპორციულად.

(ლ) საწესდებო კაპიტალი

საწესდებო კაპიტალი აღიარდება ჯგუფის მიერ მიღებული შენატანების სამართლიანი ღირებულებით.

2.2 მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკის მიმოხილვა (გაგრძელება)**(მ) დივიდენდები**

დივიდენდები საკუთარ კაპიტალში აღიარდება, როგორც იმ პერიოდის კაპიტალის შემცირება, როდესაც გამოცხადდა დივიდენდები. დივიდენდები, რომლებიც გამოცხადებულია საანგარიშგებო პერიოდის შემდეგ, განიხილება, როგორც საანგარიშგებო თარიღის შემდგომი მოვლენა და შესაბამისად აისახება განმარტებით შენიშვნებში.

(ნ) ანარიცხი

ანარიცხების აღიარება ხდება მაშინ, როდესაც ჯგუფს აქვს მიმდინარე (იურიდიული ან კონსტრუქციული) ვალდებულებები წარსულში მომხდარი მოვლენების გამო და მოსალოდნელია, რომ ჯგუფისგან მოთხოვნილი იქნება ვალდებულების დაფარვა და შესაძლებელი იქნება ვალდებულებების მოცულობის საიმედოდ შეფასება.

ანარიცხებად აღიარებული ოდენობა წარმოადგენს იმ თანხის საუკეთესო შეფასებას, რომელიც საჭირო იქნება მიმდინარე ვალდებულების დასაფარად ანგარიშგების პერიოდის ბოლოსთვის, ამ ვალდებულებასთან დაკავშირებული რისკებისა და გაურკვევლობების გათვალისწინებით. როდესაც ანარიცხები ფასდება მიმდინარე ვალდებულების გასასტუმრებლად საჭირო ფულადი ნაკადებით, მისი საბალანსო ღირებულება არის ამ ფულადი ნაკადების დღევანდელი ღირებულება.

თუ ანარიცხების დაფარვისთვის საჭირო ეკონომიკური სარგებლის ნაწილობრივ ან მთლიანად მიღება მესამე მხარისგან არის მოსალოდნელი, მისაღები თანხის აღიარება აქტივად ხდება მაშინ, როდესაც ფაქტობრივად გარანტირებულია ანაზღაურების მიღება და შესაძლებელია მისაღები თანხის ოდენობის საიმედოდ შეფასება.

(ო) ოპერაციები უცხოურ ვალუტაში

ჯგუფის კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება წარმოდგენილია ლარში, რომელიც ჯგუფის ფუნქციონალური ვალუტაცაა.

უცხოურ ვალუტაში განხორციელებული ოპერაციები თავიდან ჯგუფის მიერ აღირიცხება მათ შესაბამის სამუშაო ვალუტაში, რომლის კონვერტაცია ხდება ოპერაციის აღიარების დღეს არსებული საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ დადგენილი გაცვლითი კურსით.

უცხოურ ვალუტაში გამოხატული ფულადი აქტივებისა და ვალდებულებების კონვერტაცია ხდება ანგარიშგების დღეს არსებული სამუშაო ვალუტის საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ განსაზღვრული გაცვლითი კურსით. ფულადი მუხლების ანგარიშსწორების ან კონვერტაციის ოპერაციების შედეგად წარმომდგარი ნებისმიერი სხვაობა აისახება კონსოლიდირებული სრული შემოსავლის ანგარიშგებაში.

არაფულადი მუხლების გადაანგარიშება, რომლებიც პირვანდელი ღირებულებით აღირიცხება უცხოურ ვალუტაში, ხდება თავდაპირველი ოპერაციის დღეს არსებული საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ განსაზღვრული გაცვლითი კურსით.

ქვემოთ მოცემულია გაცვლითი კურსები წლის ბოლოს მდგომარეობით, რომლებიც ჯგუფმა წინამდებარე კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგებისთვის გამოიყენა:

	2023 წლის 30 ივნისი	2022 წლის 30 ივნისი
აშშ დოლარი/ლარი	2.6177	2.9289
	2023 წლის 30 ივნისი	2022 წლის 30 ივნისი
ევრო/ლარი	2.8591	3.0821

(პ) შემოსავალი და დარიცხული მისაღები შემოსავალი (WIP)

შემოსავლის და დარიცხული მისაღები შემოსავლის აღიარების სააღრიცხვო პოლიტიკა წარმოდგენილია შენიშვნა 4-ში.

2.2 მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკის მიმოხილვა (გაგრძელება)

(ჟ) ფინანსური ხარჯი და ფინანსური შემოსავალი

ჯგუფის ფინანსური ხარჯი და შემოსავალი მოიცავს:

- ▶ საპროცენტო შემოსავალს;
- ▶ ფინანსურ აქტივებსა და ფინანსურ ვალდებულებებზე წარმოქმნილ კურსთაშორისი სხვაობიდან მიღებულ მოგებას ან ზარალს.

უცხოური ვალუტის გაცვლითი კურსის ცვლილებით გამოწვეული მოგება ან/და ზარალი აღირიცხება წმინდა საფუძველზე, როგორც ფინანსური შემოსავალი ან ფინანსური ხარჯი, იმის გათვალისწინებით თუ სად აქვს ადგილი უცხოური ვალუტის მოძრაობას - წმინდა ამონაგების თუ წმინდა ზარალის პოზიციაში.

(რ) პირობითი აქტივები და ვალდებულებები

პირობითი ვალდებულებები არ არის აღიარებული კონსოლიდირებული ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში, თუმცა წარმოდგენილია კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების განმარტებით შენიშვნებში, გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც საწარმოდან ეკონომიკურ სარგებელში განივთებული სარგებლის გასვლა მოსალოდნელია შორეულ მომავალში.

პირობითი აქტივები არ არის აღიარებული კონსოლიდირებული ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში, თუმცა, კონსოლიდირებულ ფინანსურ ანგარიშგებაში აღიარდება მაშინ, როდესაც მოსალოდნელია ეკონომიკური სარგებლის შემოდინება.

(ს) აქტივებისა და ვალდებულებების კლასიფიკაცია მოკლე და გრძელვადიანად

საწარმო მისი კონსოლიდირებული ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში აქტივებისა და ვალდებულებების ასახვისათვის იყენებს მოკლევადიან/გრძელვადიან კლასიფიკაციას.

აქტივი არის მოკლევადიანი თუ:

- ▶ ნავარაუდევია აქტივის გაყიდვა, ან აქტივი გამოიზნულია გასაყიდად ან მოხმარებისთვის ჩვეულებრივი საოპერაციო ციკლის განმავლობაში;
- ▶ აქტივი ძირითადად გამოიყენება სავაჭრო დანიშნულებით;
- ▶ ნავარაუდევია მისი გაყიდვა საანგარიშგებო პერიოდის შემდეგ თორმეტი თვის განმავლობაში; ან
- ▶ აქტივი არის ფულადი სახსრები ან ფულადი სახსრების ეკვივალენტი, იმ შემთხვევის გარდა, როდესაც მისი გაცვლა ან ვალდებულების დასაფარად გამოიყენება შეზღუდულია, საანგარიშგებო პერიოდის შემდეგ სულ მცირე თორმეტი თვით მაინც.

ყველა სხვა აქტივი კლასიფიცირებულია, როგორც გრძელვადიანი აქტივები.

ვალდებულება არის მოკლევადიანი თუ:

- ▶ მისი დაფარვა მოსალოდნელია ჩვეულებრივი საოპერაციო ციკლის განმავლობაში;
- ▶ ძირითადად, გამოიყენება სავაჭრო დანიშნულებით;
- ▶ უნდა დაიფაროს საანგარიშგებო პერიოდის შემდეგ თორმეტი თვის განმავლობაში; ან
- ▶ საწარმოს არ გააჩნია ვალდებულების დაფარვის გადავადების უპირობო უფლება, საანგარიშგებო პერიოდის შემდეგ სულ მცირე თორმეტი თვის განმავლობაში მაინც.

ყველა სხვა სახის ვალდებულება მიიჩნევა გრძელვადიან ვალდებულებად.

2.2 მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკის მიმოხილვა (გაგრძელება)

(ტ) საწარმოთა გაერთიანება

საწარმოთა გაერთიანება აღირიცხება შეძენის მეთოდის გამოყენებით შეძენის თარიღისთვის, რომელიც წარმოადგენს თარიღს, როდესაც კონტროლი გადაეცემა ჯგუფს.

ჯგუფი გუდვილს აღრიცხავს შეძენის თარიღისთვის როგორც:

- ▶ გადაცემული კომპენსაციის სამართლიან ღირებულებას; დამატებული
- ▶ არაკონტროლირებადი წილის აღიარებული თანხა შესაძენ კომპანიაში; დამატებული
- ▶ თუ საწარმოს გაერთიანება ხდება ეტაპობრივად, მანამდე არსებული საწარმო წილი შესაძენ კომპანიაში; გამოკლებული
- ▶ იდენტიფიცირებული შეძენილი აქტივებისა და ნაკისრი ვალდებულებების წმინდა აღიარებული თანხა (ძირითადად, სამართლიანი ღირებულება).

თუ ნამატი უარყოფითია, ხელსაყრელი შესყიდვის მოგება აღიარდება უშუალოდ მოგება-ზარალში. გადაცემული კომპენსაცია არ მოიცავს თანხას, მანამდე არსებულ ურთიერთობის დარეგულირებისათვის. ასეთი თანხები ზოგადად აღიარდება მოგება-ზარალში. ოპერაციის დანახარჯები, გარდა სესხის ან ფასიანი ქაღალდების გამოცემის, რომელიც დაკავშირებულია „ჯგუფის“ მიერ საწარმოს გაერთიანებასთან, აღიარდება ხარჯებში მათი წარმოშობისთანავე.

ნებისმიერი პირობითი კომპენსაციის აღიარება მოგება-ზარალში ხდება შეძენის თარიღით. თუ პირობითი კომპენსაცია კლასიფიცირებულია როგორც კაპიტალი, მისი ხელახლა შეფასება არ ხდება და გადახდა აღირიცხება კაპიტალის ფარგლებში. სხვაგვარად, შემდგომი ცვლილებები პირობითი კომპენსაციის სამართლიან ღირებულებაში აღიარდება მოგება-ზარალში.

3. მნიშვნელოვანი სააღრიცხვო მსჯელობები, შეფასებები და დაშვებები სააღრიცხვო პოლიტიკის გამოყენებაში

ჯგუფი აკეთებს შეფასებებს და ვარაუდებს, რაც გავლენას ახდენს ცალკეულ ანგარიშგებაში წარდგენილ ციფრებსა და მომავალი საანგარიშგებო პერიოდის აქტივებისა და ვალდებულებების საბალანსო ღირებულებაზე. შეფასებებისა და ვარაუდების გადახედვა ხდება მუდმივად და თავის მხრივ თითოეული მათგანი დაფუძნებულია მენეჯმენტის გამოცდილებასა და სხვა ფაქტორებზე, მათ შორის მომავალი მოვლენების მოხდენის მოლოდინზე, რომელთა წარმოქმნის ალბათობა მოცემულ გარემოებებში მიიჩნევა გონივრულად. ვარაუდების გარდა მენეჯმენტი ასევე აკეთებს შეფასებებს სააღრიცხვო პოლიტიკის გამოყენებისას. შეფასებები, რომელიც ახდენს ყველაზე მნიშვნელოვან გავლენას ცალკეულ ფინანსურ ანგარიშგებაზე წარდგენილ ციფრებზე და შეფასებები, რომელთაც შეუძლიათ მნიშვნელოვნად შეცვალოს აქტივებისა და ვალდებულებების საბალანსო ღირებულება მომავალ ფინანსურ წელს, არის შემდეგი:

შემოსავლის აღიარება

ჯგუფი ახორციელებს მნიშვნელოვან დაშვებებს, რომელიც გავლენას ახდენს მის მიერ შემოსავლების აღიარებაზე. თითოეული კლიენტისაგან მიღებული შემოსავალი აღიარდება მომსახურების გაწევის პროპორციულად, ჯგუფის მიერ, ამ კონკრეტულ კლიენტთან დადებული კონტრაქტის ფარგლებში გახარჯული დროის გათვალისწინებით. ჯგუფი ახდენს თითოეული კონტრაქტის ჭრილში დახარჯული დროის შესაბამის აღრიცხვას და პერიოდის ბოლოს ამონაგების კორექტირებას, გაწეული მომსახურების დროის გათვალისწინებით. შემოსავლის თავდაპირველი აღიარება ხდება თითოეული კონტრაქტის ჭრილში გაკეთებული ბიუჯეტის შესაბამისად. ხელმძღვანელობა პერიოდულად ახორციელებს ბიუჯეტის გადახედვას, რათა საჭიროების შემთხვევაში მოახდინოს აღიარებული შემოსავლების კორექტირება. დროის მონეტარული ღირებულება, მომსახურებაში ჩართული თითოეული თანამშრომლისათვის დგინდება ჯგუფის ხარჯებისა და კონსოლიდირებული კონტრაქტის მომგებიანობის გათვალისწინებით.

4. შემოსავალი და დარიცხული მისაღები შემოსავალი (WIP)

ჯგუფის შემოსავალი ფორმირდება აუდიტორული, საგადასახადო, იურიდიული და სხვა საკონსულტაციო მომსახურების გაწევის შედეგად.

ჯგუფი შემოსავლის აღიარებისას იყენებს პროპორციულობის მეთოდს, რომელიც გულისხმობს მოცემული თარიღისათვის შესრულებულ სამუშაოებზე გაწეული დანახარჯების თანაფარდობის დადგენას მთლიანი სახელშეკრულებო დანახარჯების შეფასებულ თანხასთან მიმართებით.

შპს „იუაი“

2023 წლის კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები (გაგრძელება)

თანხები ლარში

4. შემოსავალი და დარიცხული მისაღები შემოსავალი (WIP) (გაგრძელება)

დარიცხული მისაღები შემოსავალი (WIP) წარმოადგენს კონკრეტული სააღრიცხვო პერიოდის განმავლობაში მიმდინარე საკონტრაქტო მომსახურებებზე დარიცხულ შემოსავალს, რომელიც გამომუშავებულია ჯგუფის მიერ შესაბამისი გარიგების პირობებიდან გამომდინარე და ანგარიშ-ფაქტურა არ არის გამოწერილი. WIP-ის აღიარება ხდება მისი შეფასებული სარეალიზაციო ღირებულებით სამუშაოს შესრულების სტადიის პროპორციულად და მისი დებიტორულ დავალიანებად კლასიფიცირება ხდება ჯგუფის მიერ შესაბამისი ანგარიშ-ფაქტურის გამოწერის მომენტი. ჯგუფის მიერ გადავადებული შემოსავალი აღიარდება როდესაც ხელშეკრულების მიხედვით აღიარებულია სავაჭრო მოთხოვნა და არ არის შესაბამისი სამუშაო შესრულებული (ამონაგებად აღიარება ხდება შესრულებული სამუშაოს პროპორციულად).

	2023 წლის 30 ივნისით დასრულებული წლისთვის	2022 წლის 30 ივნისით დასრულებული წლისთვის
ამონაგები მომსახურების გაწევიდან	17,979,187	19,141,188
სულ ამონაგები მომსახურების გაწევიდან	17,979,187	19,141,188

5. სხვა საოპერაციო ხარჯები

	2023 წლის 30 ივნისით დასრულებული წლისთვის	2022 წლის 30 ივნისით დასრულებული წლისთვის
საექვო ვალის რეზერვის ხარჯი	79,134	378,794
საკონსულტაციო და პროფესიული მომსახურების ხარჯი	75,503	67,611
საბანკო ხარჯები	34,747	20,703
საექსპედიტორო მომსახურების ხარჯი	34,106	26,144
საგადასახადო ხარჯი გარდა მოგებისა	9,269	9,533
სხვა	3,142	7,428
სულ სხვა საოპერაციო ხარჯები	235,901	510,213

6. სხვა არასაოპერაციო შემოსავალი

	2023 წლის 30 ივნისით დასრულებული წლისთვის	2022 წლის 30 ივნისით დასრულებული წლისთვის
ვალდებულებებისგან გათავისუფლებით მიღებული შემოსავალი	162,345	-
ხარჯების ანაზღაურება დაკავშირებული მხარის მიერ ძირითადი საშუალების გაყიდვიდან მიღებული შემოსულობა, ნეტო	55,146	53,760
	15,551	547
სულ სხვა არასაოპერაციო შემოსავალი	233,042	54,307

7. სხვა არასაოპერაციო ხარჯები

	2023 წლის 30 ივნისით დასრულებული წლისთვის	2022 წლის 30 ივნისით დასრულებული წლისთვის
5		
საგადასახადო ხარჯი გარდა მოგებისა	95,846	32,981
საქველმოქმედო ხარჯი	32,448	25,855
სულ არა საოპერაციო ხარჯი	128,294	58,836

შპს „იუაი“

2023 წლის კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები (გაგრძელება)

თანხები ლარში

8. ძირითადი საშუალებები

	კომპიუტერული და ქსელური აღჭურვილობა	სატრანსპორტო საშუალებები	ოფისის აღჭურვილობა	იჯარის გაუმჯობესება	სხვა აღჭურვილობა	სულ
თვითღირებულება						
ნაშთი 2021 წლის 1 ივლისის	1,431,437	95,157	698,084	566,609	31,885	2,823,172
შემოსვლა	318,294	-	-	-	6,627	324,921
გასვლა	(53,046)	-	-	-	-	(53,046)
ნაშთი 2022 წლის 30 ივნისის	1,696,685	95,157	698,084	566,609	38,512	3,095,047
შემოსვლები საწარმოთა გაერთიანების შედეგად	106,223	-	130,871	-	-	237,094
შემოსვლა	279,258	-	39,592	44,460	1,016	364,326
გასვლა	(106,851)	-	-	-	-	(106,851)
გაცვლითი კურსის ცვლილების გავლენა	6,415	-	6,848	-	-	13,263
ნაშთი 2023 წლის 30 ივნისის	1,981,730	95,157	875,395	611,069	39,528	3,602,879
დაგროვილი ცვეთა						
ნაშთი 2021 წლის 1 ივლისის	1,089,222	32,585	619,914	361,561	30,098	2,133,380
წლის ცვეთა	222,000	19,060	20,923	55,858	1,644	319,485
გასვლა	(53,046)	-	-	-	-	(53,046)
ნაშთი 2022 წლის 30 ივნისის	1,258,176	51,645	640,837	417,419	31,742	2,399,819
შემოსვლები საწარმოთა გაერთიანების შედეგად	20,893	-	13,132	-	-	34,025
წლის ცვეთა	286,196	19,060	25,944	66,606	2,004	399,810
გასვლა	(106,851)	-	-	-	-	(106,851)
გაცვლითი კურსის ცვლილების გავლენა	1,126	-	719	-	-	1,845
ნაშთი 2023 წლის 30 ივნისის	1,459,540	70,705	680,632	484,025	33,746	2,728,648
წმინდა საბალანსო ღირებულება						
ნაშთი 2022 წლის 30 ივნისის	438,509	43,512	57,247	149,190	6,770	695,228
ნაშთი 2023 წლის 30 ივნისის	522,190	24,452	194,763	127,044	5,782	874,231

შპს „იუაი“

2023 წლის კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები (გაგრძელება)

თანხები ლარში

9. სავაჭრო და სხვა მოთხოვნები

	შენიშვნა	30 ივნისი 2023	30 ივნისი 2022
სავაჭრო მოთხოვნები დაკავშირებულ მხარეებთან		1,377,981	806,017
სხვა სავაჭრო მოთხოვნები		1,457,727	2,434,516
სულ სავაჭრო მოთხოვნები		2,835,708	3,240,533
საექვო მოთხოვნების ანარიცხი		(530,391)	(1,108,911)
სულ წმინდა სავაჭრო მოთხოვნები		2,305,317	2,131,622
სხვა მოთხოვნები დაკავშირებულ მხარეებთან		143,830	-
სხვა მოთხოვნები		12,470	1,555
სულ ფინანსური აქტივები სავაჭრო და სხვა მოთხოვნებში		2,461,617	2,133,177
დარიცხული მისაღები შემოსავალი (WIP)	4	1,531,030	601,761
სულ სავაჭრო და სხვა მოთხოვნები		3,992,647	2,734,938

საექვო მოთხოვნების ანარიცხის მოძრაობა

	30 ივნისი 2023	30 ივნისი 2022
საექვო მოთხოვნები წლის დასაწყისში	(1,108,911)	(730,117)
საექვო ვალების რეზერვის ხარჯი	(195,509)	(378,794)
საექვო ვალების რეზერვის ხარჯის აღდგენა	116,172	-
საექვო ვალების რეზერვის ჩამოწერა	657,857	-
საექვო მოთხოვნები წლის ბოლოს	(530,391)	(1,108,911)

10. დეპოზიტები

	30 ივნისი 2023	30 ივნისი 2022
სადეპოზიტო სერტიფიკატი (ა)	-	2,928,900
ვადიანი ანაბარი (ბ)	2,617,700	-
სულ დეპოზიტები	2,617,700	2,928,900

(ა) 2022 წლის 30 ივნისის მდგომარეობით ჯგუფი ფლობდა ქართული კომერციული ბანკის მიერ გამოშვებულ 1,013 სადეპოზიტო სერტიფიკატს, რომლის ნომინალური ღირებულება შეძენისას შეადგენდა 1,000 აშშ დოლარს. არსებული სადეპოზიტო სერტიფიკატი ჯგუფმა დახურა 2023 წლის ივნისში.

(ბ) 1,000,000 დოლარის ნომინალური ღირებულების, ვადიანი ანაბარი განთავსებულია ქართულ კომერციულ ბანკში. ანაბრის წლიური საპროცენტო განაკვეთი შეადგენს 2 %-ს.

11. ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები და ნაშთი საბანკო ანგარიშზე გამოყენების შეზღუდვით

(ა) ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები

	30 ივნისი 2023	30 ივნისი 2022
ფული ბანკში	8,300,738	11,900,607
ფული სალაროში	1,147	1,267
სულ ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები	8,301,885	11,901,874

შპს „იუაი“

2023 წლის კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები (გაგრძელება)

თანხები ლარში

11. ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები და ნაშთი საბანკო ანგარიშზე გამოყენების შეზღუდვით (გაგრძელება)

ნაღდი ფულის ნაშთი საბანკო ანგარიშებზე კლასიფიცირებულია, როგორც არასარიცხოვანი და ექვემდებარება ღირებულების შეცვლის უმნიშვნელო რისკს.

(ბ) ნაშთი საბანკო ანგარიშზე გამოყენების შეზღუდვით

	30 ივნისი 2023	30 ივნისი 2022
ნაშთი საბანკო ანგარიშზე გამოყენების შეზღუდვით	403,750	-
სულ ნაშთი საბანკო ანგარიშზე გამოყენების შეზღუდვით	403,750	-

ჯგუფი დროდადრო მონაწილეობას იღებს მომსახურების ხელშეკრულებებში რომლებიც მოითხოვს შესრულების გარანტიის წარდგენას. აღნიშნული გარანტიების უზრუნველსაყოფად გამოყენებულ საბანკო ანგარიშებზე ჯგუფს ეზღუდება წვდომა ბანკის მიერ. ჯგუფს წლის განმავლობაში ასეთი სახის მომსახურების ხელშეკრულებებზე ჯამურად 403,750 ლარის ოდენობით საბანკო გარანტიის წარდგენა მოეთხოვა, რომელიც შეძენილი იყო ქართული კომერციული ბანკისგან.

საბანკო ანგარიშის ნაშთი 403,750 ლარის ოდენობით ჯგუფმა უზრუნველყოფის სახით დააგირავა ქართული კომერციული ბანკისგან მიღებულ გარანტიაზე, რომელიც მოქმედებს 2024 წლის 4 ივლისამდე (2 გარანტია) და 2024 წლის 31 აგვისტომდე (4 გარანტია). დაგირავებული საბანკო ანგარიში, 30 ივნისი 2023 წლით დასრულებული ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში, კლასიფიცირებული იყო, როგორც "ნაშთი საბანკო ანგარიშზე გამოყენების შეზღუდვით" (შენიშვნა 16).

12. კაპიტალი

(ა) საწესდებო კაპიტალი

საწესდებო კაპიტალი წარმოადგენს კაპიტალის ნომინალურ ოდენობას კომპანიის სადამფუძნებლო დოკუმენტაციაში. 2023 და 2022 წლებში ჯგუფის საწესდებო კაპიტალი შეადგენდა 21,500 ლარს.

(ბ) დივიდენდები

გადაწყვეტილება დივიდენდის განაწილებაზე მიიღება პარტნიორთა საერთო კრებაზე.

საქართველოს კანონმდებლობის თანახმად, ჯგუფის გასანაწილებელი რეზერვები იზღუდება გაუნაწილებელი მოგების ნიშნით, ჯგუფის მსს ფასს-ის შესაბამისად მომზადებულ ნორმატიულ კონსოლიდირებულ ფინანსურ ანგარიშგებაში განსაზღვრულის შესაბამისად.

ჯგუფის 2023 წლის 30 ივნისით დასრულებული წლისათვის არ გამოუცხადებია დივიდენდი 2022 წლის განმავლობაში გაცემულმა დივიდენდმა შეადგინა 1,621,830 ლარი. აღნიშნული ოპერაციისათვის გადახდილი იქნა 286,205 ლარის ოდენობის მოგების გადასახადი და აღიარდა „მოგების გადასახადის ხარჯის“ სახით კონსოლიდირებული სრული შემოსავლის ანგარიშგებაში, 2022 წლის 30 ივნისით დასრულებული საანგარიშგებო წლისათვის.

შპს „იუაი“

2023 წლის კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები (გაგრძელება)

თანხები ლარში

13. კაპიტალის მართვა

ჯგუფს არ აქვს კაპიტალის მართვის ოფიციალური პოლიტიკა, მაგრამ ხელმძღვანელობა ცდილობს შეინარჩუნოს საკმარისი კაპიტალის ბაზა ჯგუფის ოპერაციული და სტრატეგიული საჭიროებების დასაკმაყოფილებლად და ბაზრის მონაწილეთა ნდობის შესანარჩუნებლად.

წლის განმავლობაში კაპიტალის მართვის მიმართ ჯგუფის მიდგომაში ცვლილებები არ მომხდარა. ჯგუფს არ აქვს გარე კაპიტალის მოთხოვნები.

14. სავაჭრო და სხვა ვალდებულებები

	შენიშვნა	30 ივნისი 2023	30 ივნისი 2022
სავაჭრო ვალდებულებები დაკავშირებულ მხარეებთან	17 (ბ)	1,212,640	289,314
დარიცხული ხარჯები		92,434	245,098
გადავადებული შემოსავალი		44,938	168,040
სხვა სავაჭრო ვალდებულებები		143,314	11,642
სულ სავაჭრო და სხვა ვალდებულებები		1,493,326	714,094

15. გადასახდელი ხელფასები

	30 ივნისი 2023	30 ივნისი 2022
დარიცხული ბონუსები	1,979,670	2,130,112
გადასახდელი ხელფასები	3,057	-
სულ გადასახდელი ხელფასები	1,982,727	2,130,112

16. პირობითი ვალდებულებები და გაუთვალისწინებელი გარემოებები

პირობითი ვალდებულებები

2023 წლის 30 ივნისისა და 2022 წლის 30 ივნისის მდგომარეობით პირობითი ვალდებულებები დაკავშირებული საოფისე ფართის იჯარასთან და კომუნალურ ხარჯებთან შეადგენდა:

	2023 წლის 30 ივნისით დასრულებული წლისთვის	2022 წლის 30 ივნისით დასრულებული წლისთვის
საოპერაციო იჯარასთან დაკავშირებული ვალდებულებები	779,530	872,203
ერთ წლამდე პირობითი ვალდებულებები	1,948,825	3,052,711
ერთიდან ხუთ წლამდე პირობითი ვალდებულებები		
სულ	2,728,355	3,924,914

შპს „იუაი“

2023 წლის კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები (გაგრძელება)

თანხები ლარში

16. პირობითი ვალდებულებები და გათვალისწინებული გარემოებები (გაგრძელება)

გარანტია

ჯგუფს 2023 წლის 30 ივნისის მდგომარეობით გარკვეული მომსახურების ხელშეკრულებით გათვალისწინებული პირობების მიხედვით წარდგენილი აქვს 403,750 ლარის ოდენობის გარანტია, რომლის უზრუნველყოფის სახით არის დატვირთული საბანკო ანგარიშები (შენიშვნა 11 (ბ)).

დაგირავებული და შეზღუდული აქტივები

2023 და 2022 წლის 30 ივნისის მდგომარეობით ჯგუფს აქვს უზრუნველყოფის სახით წარმოდგენილი შემდეგი აქტივები:

	შენიშვნა 2023 წლის 30 ივნისი 2022 წლის 30 ივნისი	
	დაგირავებული აქტივი	დაგირავებული აქტივი
ნაშთი საბანკო ანგარიშზე გამოყენების შეზღუდვით	11	403,750

სამართლებრივი დავები

ხელმძღვანელობის აზრით, არ არსებობს მიმდინარე სასამართლო პროცესები ან სხვა სამართლებრივი მოთხოვნები, რომლებმაც შესაძლოა არსებითი ეფექტი იქონიონ ჯგუფის ოპერაციებსა ან ფინანსურ მდგომარეობაზე და რომლებიც არ არის აღიარებული ან განმარტებული ამ ფინანსურ ანგარიშგებაში.

საგადასახადო ვალდებულებები

საგადასახადო კანონმდებლობის ჯგუფის ხელმძღვანელობისეული განმარტება შესაძლოა განსხვავდებოდეს საგადასახადო უწყებების განმარტებებისგან, უწყებებმა შესაძლოა სადაო გახადონ ტრანზაქციები, რის შედეგადაც ჯგუფს შესაძლოა დაეკისროს დამატებითი გადასახადები, ჯარიმები და საურავები. ჯგუფი თვლის, რომ მას შესრულებული აქვს ყველა საგადასახადო ვალდებულება, ამიტომ ფინანსურ ანგარიშგებაში დამატებითი რეზერვების შექმნა არ განხორციელებულა.

17. ნაშთები და ოპერაციები დაკავშირებულ მხარეებთან

(ა) ოპერაციები უმაღლესი რანგის ხელმძღვანელობასთან

უმაღლესი რანგის ხელმძღვანელების ანაზღაურება

	2023 წლის 30 ივნისით დასრულებული წლისთვის	2022 წლის 30 ივნისით დასრულებული წლისთვის
ხელფასი	917,111	941,607
ბონუსი	2,395,250	2,128,449
სულ	3,312,361	3,070,056

შპს „იუაი“

2023 წლის კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები (გაგრძელება)

თანხები ლარში

17. ნაშთები და ოპერაციები დაკავშირებულ მხარეებთან (გაგრძელება)

(ბ) სხვა დაკავშირებული მხარეების გარიგებები

		ოპერაციის ღირებულება	
		2023 წლის 30 ივნისით დასრულებული წლისთვის	2022 წლის 30 ივნისით დასრულებული წლისთვის
ამონაგები გაწეული მომსახურებიდან			
სხვა დაკავშირებული მხარეები		1,296,559	1,680,455
შესყიდული მომსახურება			
სხვა დაკავშირებული მხარეები		(2,130,401)	(876,422)
	შენიშვნა	ნაშთი 30 ივნისის მდგომარეობით	
		30 ივნისი 2023	30 ივნისი 2022
სავაჭრო მოთხოვნები			
სხვა დაკავშირებული მხარეები		1,521,811	806,016
სავაჭრო ვალდებულებები			
სხვა დაკავშირებული მხარეები	14	1,212,749	289,313

18. საწარმოთა გაერთიანება

კომპანიას 2023 წლის 5 მაისს მფლობელობაში გადაეცა ყირგიზეთის კანონმდებლობის ქვეშ რეგისტრირებული შპს „ერნსტ ენდ იანგ აუდიტის“ (საიდენტიფიკაციო კოდი: 01602201010265) 100%-იანი წილი, რომლის 99% წილს შესყიდვამდე ფლობდა ყაზახეთის კანონმდებლობის ქვეშ რეგისტრირებული შეზღუდული პასუხისმგებლობის მქონე ამხანაგობა „ერნსტ ენდ იანგ“ (საიდენტიფიკაციო კოდი: 041140002277) და 1% წილს - ნიდერლანდების კანონმდებლობის ქვეშ რეგისტრირებული კომპანია „ერნსტ ენდ იანგ (დსთ) ბი. ვი.“. შემდეგი ცხრილი აჯამებს შეძენილი აქტივების აღიარებულ ოდენობებს და ნაკისრ ვალდებულებებს, შეძენის თარიღისთვის:

აქტივები	შენიშვნა	5 მაისი 2023
გრძელვადიანი აქტივები		
ძირითადი საშუალებები	8	204,000
სულ გრძელვადიანი აქტივები		204,000
მიმდინარე აქტივები		
საგადასახადო ვალდებულებები		38,000
სავაჭრო და სხვა მოთხოვნები		762,000
გაცემული ავანსები		68,000
ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები		188,000
სულ მიმდინარე აქტივები		1,056,000
სულ აქტივები		1,260,000
საკუთარი კაპიტალი და ვალდებულებები		
საკუთარი კაპიტალი		
საწესდებო კაპიტალი		3,000
გაუნაწილებელი მოგება		77,000
სულ საკუთარი კაპიტალი		80,000
მიმდინარე ვალდებულებები		
სავაჭრო და სხვა ვალდებულებები		129,000
მიღებული ავანსები		1,051,000
სულ მიმდინარე ვალდებულებები		1,180,000
სულ ვალდებულებები		1,180,000
სულ საკუთარი კაპიტალი და ვალდებულებები		1,260,000

შპს „იუაი“

**2023 წლის კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები
(გაგრძელება)**

თანხები ლარში

18. საწარმოთა გაერთიანება (გაგრძელება)

სავაჭრო მოგება შეძენიდან

შეძენების შედეგად სავაჭრო მოგება იქნა აღიარებული შემდეგნაირად:

	თანხა
გადახდილი თანხის სამართლიანი ღირებულება	-
იდენტიფიცირებადი წმინდა აქტივების სამართლიანი ღირებულება (ა)	80,000
სავაჭრო მოგება	80,000

(ა) ჯგუფის ხელმძღვანელობის განსჯით იდენტიფიცირებადი წმინდა აქტივების სამართლიანი ღირებულება უახლოვდება საბალანსო ღირებულებას.

19. ანგარიშგების პერიოდის შემდგომი მოვლენები

საანგარიშგებო პერიოდის შემდგომ, ჯგუფმა გამოაცხადა 3,426,597 ლარის დივიდენდი. აღნიშნული ოპერაციისთვის ჯგუფმა გადაიხადა მოგების გადასახადი 604,711 ლარის ოდენობით, რომელიც აღიარებული იყო "მოგების გადასახადის ხარჯად" სრული შემოსავლის ანგარიშგებაში 2024 წლის 30 ივნისით დასრულებული წლისათვის.

შპს “იუაი”
მმართველობითი ანგარიშგება
2023 წლის 30 ივნისით დასრულებული წლისათვის

კომპანიის ძირითადი საქმიანობა და განვითარების გეგმები

შპს „იუაი“ (შემდგომში „EY“ ან „კომპანია“) საქართველოში მოქმედი შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოებაა, რომელიც არის გაერთიანებულ სამეფოში დაფუძნებული „ერნსტ ენდ იანგ გლობალ ლიმიტედის“ (შემდგომში „EYG“) წევრი ფირმა.

2023 წლის 30 ივნისის მდგომარეობით კომპანიის 51%-ს ფლობს სამი პარტნიორი: რუსლან ხოროშვილი 27%, ანა კუსრაშვილი 12% და დიმიტრო იურგელევიჩი 12%; ხოლო 49%-ს ფლობს „ერნსტ ენდ იანგ ჰოლდინგს (დსთ) ბი. ვი.“ („ერნსტ ენდ იანგ დსთ“), რომელიც არის EYG-ის წევრი ფირმა და დსთ-ის ქვეყნებსა და საქართველოში EYG-ის წევრი ფირმების ჰოლდინგური კომპანია. „ერნსტ ენდ იანგ დსთ“ არის ჰოლანდიური კერძო კომპანია შეზღუდული პასუხისმგებლობით.

კომპანიას 2023 წლის მაისში მფლობელობაში გადაეცა ყირგიზეთის კანონმდებლობის ქვეშ რეგისტრირებული შპს „ერნსტ ენდ იანგ აუდიტის“ 100%-იანი წილი.

საქართველოში EY უკვე 30 წელია რაც საქმიანობს და მისი გუნდი ორასზე მეტი სპეციალისტისგან შედგება.

EY საფუძველს იღებს „ქართული საკონსულტაციო ჯგუფიდან“ (ჯი-სი-ჯი), რომელიც 1993 წელს დაარსდა და, 2003 წელს EY-სთან გაერთიანებამდე, საქართველოში პროფესიული მომსახურების ლიდერი იყო. 2003 წელს, ადგილობრივი წარმომადგენლობის გახსნით, EY გახდა პროფესიული მომსახურების პირველი საერთაშორისო კომპანია, რომელმაც საქართველოში მუდმივი საქმიანობა დაიწყო..

კომპანიის საოპერაციო საქმიანობას წარმართავენ ადგილობრივი პარტნიორები.

EY-ის დიდი გამოცდილება აქვს ეკონომიკის ყველა სექტორში მოღვაწე უმსხვილესი ადგილობრივი და საერთაშორისო კომპანიების მომსახურებაში. EY აუდიტორულ მომსახურებას უწევს 100-მდე წამყვან კომპანიასა და უმსხვილეს ბანკს.

EY თავის მომსახურებას ოთხ ძირითად კატეგორიაში მოიაზრებს: მარწმუნებელი და დაკავშირებული მომსახურება, საგადასახადო და იურიდიული მომსახურება, საკონსულტაციო მომსახურება, ფინანსურ გარიგებებთან დაკავშირებული მომსახურება. ბოლო ორი მიმართულების მომსახურება საქართველოში 2015 წელს დაიწერა და ამ დროიდან ჩვენი კომპანია საქართველოში EY-ის გლობალურ მომსახურებებს სრულად წარმოადგენს. EY-მ მონაწილეობა მიიღო საქართველოში ბოლო რვა წლის განმავლობაში შემდგარ ყველა მსხვილ გარიგებაში და წარმატებით დაასრულა ისინი. EY-ის ფინანსური საკონსულტაციო მომსახურება გულისხმობს მსხვილი ინფრასტრუქტურული კლიენტების მომსახურებას, საბაზრო და ტექნიკურ-ეკონომიკურ (განხორციელებადობის) კვლევას, წინასაინვესტიციო შემოწმებას, შეფასებას და სხვა. საკონსულტაციო მომსახურება ორ ძირითად მიმართულებას მოიცავს: პირველი სპეციალიზდება ინფორმაციული ტექნოლოგიების უსაფრთხოების, რისკის მართვისა და საქმიანობის შედეგების გაუმჯობესების მომსახურებებში, ხოლო მეორე აქტიურად მუშაობს სხვადასხვა სახელმწიფო ორგანიზაციებთან, ასევე საერთაშორისო საფინანსო დაწესებულებებთან (EU, EBRD, WB და ა. შ.) და ეხმარება მათ ქვეყნისთვის მნიშვნელოვანი პროექტებისა და კომპლექსური ინიციატივების განხორციელებაში. მნიშვნელოვანია ჩვენი წვლილი საქართველო-ევროკავშირის ასოცირების ხელშეკრულებების ვალდებულებების შესრულებასა და ევროკავშირთან ჰარმონიზების მიმართულებით განხორციელებულ ინიციატივებში (EU4Business, EU4Digital, EU4Youth).

კომპანიის ძირითადი საქმიანობა და განვითარების გეგმები (გაგრძელება)

კომპანიის საგადასახადო და იურიდიული პრაქტიკა კლიენტებს ეხმარება გადასახადებთან შესაბამისობასა და ანგარიშგების ვალდებულებების გააზრებაში და მათ პასუხისმგებლობით მართვაში. საგადასახადო პრაქტიკის გუნდის დახმარებით კლიენტები საგადასახადო ფუნქციის პროცესებს, კონტროლებს, რისკის მართვასა და მონიტორინგს აუმჯობესებენ და საგადასახადო ორგანოებთან ეფექტურ ურთიერთობას ინარჩუნებენ. EY-ის საგადასახადო პრაქტიკა მომსახურებების ფართო სპექტრს აერთიანებს: ბიზნესის საგადასახადო მომსახურება, გლობალური კანონშესაბამისობა და ანგარიშგება, გლობალური კანონმდებლობა, ბუღალტრული და საგადასახადო მომსახურება, ადამიანურ რესურსებთან დაკავშირებული საკონსულტაციო მომსახურება და ოპერაციების დახვეწა. EY-ის ჰყავს სატრანსფერო ფასწარმოქმნის და აღრიცხვის, შესაბამისობის და ანგარიშგების მომსახურების ადგილობრივი გუნდები. EY-ის იურიდიული პრაქტიკა წლების განმავლობაში მუშაობს მთელ რიგ უმნიშვნელოვანეს კორპორაციულ თუ კომერციულ ტრანსაქციებზე. EY-ის იურიდიული პრაქტიკა საქართველოში ერთ-ერთი წამყვანი პრაქტიკაა Chambers and Partners, Legal 500-ისა და IFLR1000-ის რეიტინგების მიხედვით.

კლიენტებთან თანამშრომლობით და ბაზარზე საქმიანობით EY გლობალური მიზნისკენ - უკეთესი მსოფლიოს მშენებლობისკენ - ისწრაფვის. ჩვენ მთელ ცოდნას და ენთუზიაზმს ვახმარებთ კლიენტებისთვის უნაკლო მომსახურების გაწევას. კომპანია ცდილობს ინვესტიციების ჩადებას ისეთ მექანიზმებში, რომლებიც მას საქმიანობის გაუმჯობესებაში, გუნდების მაღალი დონის პროფესიონალებით დაკომპლექტებაში, თავისი საქმიანობის მიმართ ნდობის მოპოვებასა და შენარჩუნებაში დაეხმარება.

EY-ის რეპუტაციას განაპირობებს თავისი ყველა კლიენტისთვის მაღალი ხარისხის პროფესიული მომსახურების ობიექტურად და ეთიკურად გაწევა.

შვილობილი კომპანია შპს „ერნსტ ენდ იანგ აუდიტი“

2023 წლის მაისში კომპანიას მფლობელობაში გადაეცა შპს „ერნსტ ენდ იანგ აუდიტის“ (შემდგომში „იუაი ყირგიზეთი“) 100%-იანი წილი. იუაი ყირგიზეთის 99% წილს შესყიდვამდე ფლობდა ყაზახეთის კანონმდებლობის ქვეშ რეგისტრირებული შეზღუდული პასუხისმგებლობის მქონე ამხანაგობა „ერნსტ ენდ იანგი“ და 1% წილს - ნიდერლანდების კანონმდებლობის ქვეშ რეგისტრირებული კომპანია „ერნსტ ენდ იანგ (დსთ) ბი.ვი.“.

იუაი ყირგიზეთი დაფუძნებულია 2010 წლის 16 თებერვალს ყირგიზეთის კანონმდებლობის მიხედვით. მისი ძირითადი საქმიანობაა ყირგიზეთის სხვადასხვა ეკონომიკურ სექტორში მოღვაწე კლიენტებისთვის აუდიტორული მომსახურების გაწევა. იუაი ყირგიზეთი ასოციაცია “საერთაშორისო ბიზნეს საბჭოს” აქტიური წევრია. იუაი ყირგიზეთის წარმომადგენლები მონაწილეობას იღებენ ყირგიზეთის საფინანსო ბაზრის რეგულაციისა და ზედამხედველობის სახელმწიფო სამსახურის საექსპერტო საბჭოს საქმიანობაში და არიან ისეთი პროფესიული ორგანიზაციების წევრები როგორიცაა ბუღალტრებისა და აუდიტორების გაერთიანება და საგადასახადო კონსულტანტების პალატა.

2023 წელს იუაი ყირგიზეთში საშუალოდ 45 ადამიანი იყო დასაქმებული.

საკადრო პოლიტიკა

2023 წელს კომპანიაში დასაქმებული იყო საშუალოდ 217 ადამიანი.

კომპანიაში დასაქმებულები არიან საერთო ღირებულებების გარშემო გაერთიანებული ადამიანები:

- ▶ რომლებიც ავლენენ კეთილსინდისიერებას, ურთიერთპატივისცემას და გუნდურობას;
- ▶ რომელთაც აქვთ სათანადო ენერგია, ენთუზიაზმი და სიმამაცე, რომ იყვნენ ლიდერები;
- ▶ რომლებიც ამყარებენ სწორ ქცევაზე დამყარებულ ურთიერთობებს.

კომპანიის მიზანია შექმნას ისეთი პირობები, რომლებიც უზრუნველყოფს თანამშრომლების პირადი და პროფესიული განვითარებისთვის საუკეთესო გარემოს საქართველოში. კომპანიაში დანერგილია თანამშრომლების პროფესიული და აკადემიური განვითარების რუკები და სავალდებულო განგრძობითი სწავლების სტანდარტები. დიდი დრო ეთმობა თანამშრომლების პერიოდული შეფასების, განვითარების არეების იდენტიფიცირების და მათზე მუშაობის პროცესებს.

საკადრო პოლიტიკა (გაგრძელება)

ჩვენ თანამშრომლებს აქვთ შემდეგი პროფესიული სერტიფიკატები და წოდებები:

სერტიფიკატის ან წოდების დასახელება	რაოდენობა
სერტიფიცირებული საჯარო ბუღალტერი (US CPA)	3
სერტიფიცირებულ ნაფიც ბუღალტერთა ასოციაციის წევრი (ACCA)	8
საქართველოს პროფესიონალ ბუღალტერთა და აუდიტორთა ფედერაციის მიერ ლიცენზირებული აუდიტორი	7
საჯარო სექტორის ლიცენზირებული აუდიტორი	1
საქართველოს ადვოკატთა ასოციაციის მიერ სერტიფიცირებული ადვოკატი	8
ნიუ-იორკის ადვოკატთა ასოციაციის სერტიფიცირებული ადვოკატი	1
სერტიფიცირებული ინფორმაციის კონფიდენციალურობის პროფესიონალი	1
შემფასებელთა და ექსპერტთა პროფესიული განვითარების ცენტრის სერტიფიკაციის ორგანოს მიერ სერტიფიცირებული უძრავი ქონების შემფასებელი	1
შემფასებელთა და ექსპერტთა პროფესიული განვითარების ცენტრის სერტიფიკაციის ორგანოს მიერ სერტიფიცირებული ბიზნესის შემფასებელი	2
ინფორმაციული უსაფრთხოების მენეჯმენტის სისტემების (ISMS) წამყვანი აუდიტორი	3
ინფორმაციული უსაფრთხოების მენეჯმენტის სისტემების (ISMS) შიდა აუდიტორი	1
საქართველოს არბიტრთა ასოციაციის წევრი	2

კომპანიის ძირითადი ფინანსური და არაფინანსური მაჩვენებლები

	2023 წლის 30 ივნისით დასრულებული წლისთვის	2022 წლის 30 ივნისით დასრულებული წლისთვის
დასაქმებულთა საშუალო რაოდენობა	217	207
შემოსავალი '000 ლარი	16,471	19,141
აქტივების ჯამური ღირებულება '000 ლარი	15,385	18,355

კორპორაციული სოციალური პასუხისმგებლობა

EY-ის გლობალური მიზნისკენ - უკეთესი მსოფლიოს მშენებლობისკენ - სწრაფვა მაღალ სოციალურ პასუხისმგებლობას მოითხოვს. კომპანიის ერთ-ერთი მთავარი ღირებულება ადამიანებსა და გარემოზე ზრუნვაა. კომპანიის სოციალური აქტივობები მოიცავს კულტურულ, სპორტულ და საქველმოქმედო პროექტებს.

კომპანია ზრუნავს ქვეყანაში სოციალურად დაუცველ მოსახლეობაზე და წლების მანძილზე ახორციელებს საქველმოქმედო ღონისძიებებს და პროექტებს.

კომპანია თანამშრომლობს სხვადასხვა ადგილობრივ და საერთაშორისო არასამთავრობო (NGO) ორგანიზაციებთან და მათი შუამავლობით უზრუნველყოფს მოხუცებზე, ბავშვებზე და ცხოველებზე ზრუნვას. კერძოდ, EY და მისი თანამშრომლები ყოველწლიურად სწავლას უფინანსებენ შეზღუდული შესაძლებლობების მქონე ბავშვებს, ზრუნავენ მიუსაფარ ცხოველთა თავშესაფარზე. კომპანია ეხმარება მოხუცთა თავშესაფრებს. გენდერული თანასწორობის მიმართულებით გაიცემა სტიპენდიები წარჩინებული სტუდენტები გოგონებისთვის. EY სოციალურად დაუცველი ბავშვებისთვის უზრუნველყოფს ინტერნეტზე და განათლებაზე ხელმისაწვდომობას და დახმარებას უწევს სოციალურ საწარმოებს.

ძირითადი რისკები და გაურკვევლობები

ფინანსური რისკები

კომპანიას არ აქვს მნიშვნელოვანი საკრედიტო, ლიკვიდურობის ან ფულადი ნაკადების რისკები.

პროფესიული რისკები

კომპანიისთვის ძირითადი რისკი მომსახურების გაწევასთან, განსაკუთრებით კი აუდიტორულ მომსახურებასთან დაკავშირებული ხარისხის რისკია.

EY მუდამ ზრუნავს აუდიტის ხარისხის გაუმჯობესებაზე. აუდიტორული მომსახურების ხარისხის მუდმივი დახვეწა ჩვენგან მოითხოვს აუდიტის განხორციელებისადმი მიდგომების გადახედვას, ადრე გამოვლენილი ნაკლოვანებების გამოსწორებას, მსოფლიოს საუკეთესო პრაქტიკების ათვისებას და მათ დანერგვაში პირველობას.

კომპანია, ადგილობრივი კანონმდებლობისა და პროფესიული მითითებების შესასრულებლად, ასევე კონკრეტული ბიზნესსაჭიროებების დასაკმაყოფილებლად, მიმართავს EY გლობალის მიერ შემუშავებულ და დანერგილ აუდიტის ხარისხის კონტროლის გლობალურ პოლიტიკას და პრაქტიკას. აღნიშნული პოლიტიკა და პრაქტიკა აკმაყოფილებს აუდიტისა და მარწმუნებელი მომსახურების სტანდარტების საერთაშორისო საბჭოს მიერ გამოშვებული ხარისხის კონტროლის საერთაშორისო სტანდარტების მოთხოვნებს. აღსანიშნავია რომ 2022 წლის 15 დეკემბრიდან ძალაში შევიდა ხარისხის მართვის საერთაშორისო სტანდარტი 1 („ხმს 1“), რომელმაც ჩაანაცვლა ხარისხის კონტროლის საერთაშორისო სტანდარტი 1 („ხკს 1“). კომპანიამ დანერგა ხმს 1 2022 წლის 15 დეკემბრიდან, რაც ასახავს ჩვენს მზაობას, დავიცვათ საზოგადოებრივი ინტერესი. ჩვენი ხმს-ის მიზანია EY-სთვის გონივრული რწმუნების მოპოვება იმის თაობაზე, რომ:

- ▶ ჩვენი თანამშრომლები თავიანთ პასუხისმგებლობას ასრულებენ პროფესიული სტანდარტებისა და მოქმედი სამართლებრივი და ნორმატიული მოთხოვნების შესაბამისად და გარიგებებს ახორციელებენ ამ სტანდარტებისა და მოთხოვნების მიხედვით, და
- ▶ გარიგების ანგარიშები, რომლებსაც უშვებს ჩვენი კომპანია და ჩვენი გარიგების პარტნიორები, მართებულია არსებული გარემოებებისთვის.

ჩვენ ამასთანავე ვიყენებთ EY გლობალის აუდიტორული საქმიანობის ხარისხის მიმოხილვის (AQR) პროგრამას იმის შესაფასებლად, არის თუ არა ეფექტური ჩვენი აუდიტის ხარისხის კონტროლის სისტემა, რათა გავცეთ დასაბუთებული რწმუნება იმისა, რომ EY და ჩვენი თანამშრომლები აკმაყოფილებენ მოქმედ პროფესიულ სტანდარტებს, ჩვენს შიდა პოლიტიკას და მარეგულირებელი ორგანოს მოთხოვნებს. AQR პროგრამისა და გარე შემოწმებების შედეგები ფასდება და ეცნობება EY-ს და მათ საფუძველზე მუდმივად ხდება აუდიტის ხარისხის გაუმჯობესება, რათა ის შეესაბამებოდეს ჩვენი პროფესიის უმაღლეს სტანდარტებს.

ძირითადი რისკები და გაურკვევლობები (გაგრძელება)

პროფესიული რისკები (გაგრძელება)

EY-ის აუდიტის პრაქტიკა და ჩვენი რეგისტრირებული დამოუკიდებელი აუდიტორები ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის ზედამხედველობის სამსახურის მხრიდან ყოველ სამ წელიწადში ერთხელ ექვემდებარებიან სავალდებულო შემოწმებას. შემოწმების ფარგლებში ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის ზედამხედველობის სამსახური აფასებს ხარისხის კონტროლის სისტემებს და მიმოიხილავს შერჩეულ გარიგებებს. ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის ზედამხედველობის სამსახურმა ხარისხის უზრუნველყოფის ბოლო შემოწმება 2023 წელს ჩაატარა. შემოწმების საბოლოო ანგარიში 2023 წლის 20 ნოემბრით არის დათარიღებული. EY-ის ისევ მიენიჭა პირველი კატეგორიის საწარმოს სტატუსი. ფირმის სამივე შემოწმებულ პარტნიორს მიენიჭა საზოგადოებრივი დაინტერესების პირებისთვის („სდპ“) ფინანსური ანგარიშგების აუდიტის განხორციელების უფლება. ჩვენ გულისყურით და პატივისცემით ვეკიდებით ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის ზედამხედველობის სამსახურის შემოწმების პროცესს და საფუძვლიანად ვეცნობით შემოწმების პროცესში წამოჭრილ საკითხებს, რათა გამოვავლინოთ აუდიტის ხარისხის გაუმჯობესების შესაძლებლობები. აუდიტორული საქმიანობის ხარისხის მიმოხილვის პროცესთან ერთად, გარე შემოწმებებიც გვხმარება იმაში, რომ ჩვენი კლიენტების, ინვესტორებისა და სხვა დაინტერესებული მხარეების ინტერესებიდან გამომდინარე, ჩვენი აუდიტი და მასთან დაკავშირებული კონტროლის პროცესები მაქსიმალურად დავხვეწოთ.

ჩვენს კომპანიაში დანერგილია მდგრადი აუდიტის ხარისხის პროგრამა, რომელიც მოიცავს აუდიტის ხარისხის ყველა ასპექტს. მდგრადი აუდიტის ხარისხის პროგრამა გამოხატავს ჩვენს ძალისხმევას უზრუნველყოთ მთელ მსოფლიოში თანაბრად მაღალი ხარისხის აუდიტის მომსახურების გაწევა. უფრო დაწვრილებით ჩვენი ხარისხის მართვის პროგრამებსა და ძალისხმევაზე შეგიძლიათ წაიკითხოთ ჩვენს ვებგვერდზე - https://www.ey.com/en_gl/audit-quality.

რუსლან ხოროშვილი

დირექტორი


27 დეკემბერი, 2024

ძირითადი რისკები და გაურკვევლობები (გაგრძელება)

პროფესიული რისკები (გაგრძელება)

EY-ის აუდიტის პრაქტიკა და ჩვენი რეგისტრირებული დამოუკიდებელი აუდიტორები ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის ზედამხედველობის სამსახურის მხრიდან ყოველ სამ წელიწადში ერთხელ ექვემდებარებიან სავალდებულო შემოწმებას. შემოწმების ფარგლებში ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის ზედამხედველობის სამსახური აფასებს ხარისხის კონტროლის სისტემებს და მიმოიხილავს შერჩეულ გარიგებებს. ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის ზედამხედველობის სამსახურმა ხარისხის უზრუნველყოფის ბოლო შემოწმება 2023 წელს ჩაატარა. შემოწმების საბოლოო ანგარიში 2023 წლის 20 ნოემბრით არის დათარიღებული. EY-ის ისევ მიენიჭა პირველი კატეგორიის საწარმოს სტატუსი. ფირმის სამივე შემოწმებულ პარტნიორს მიენიჭა საზოგადოებრივი დაინტერესების პირებისთვის („სდაპ“) ფინანსური ანგარიშგების აუდიტის განხორციელების უფლება. ჩვენ გულისყურით და პატივისცემით ვვკიდებით ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის ზედამხედველობის სამსახურის შემოწმების პროცესს და საფუძვლიანად ვეცნობით შემოწმების პროცესში წამოჭრილ საკითხებს, რათა გამოვავლინოთ აუდიტის ხარისხის გაუმჯობესების შესაძლებლობები. აუდიტორული საქმიანობის ხარისხის მიმოხილვის პროცესთან ერთად, გარე შემოწმებებიც გვებმარება იმაში, რომ ჩვენი კლიენტების, ინვესტორებისა და სხვა დაინტერესებული მხარეების ინტერესებიდან გამომდინარე, ჩვენი აუდიტი და მასთან დაკავშირებული კონტროლის პროცესები მაქსიმალურად დავხვეწოთ.

ჩვენს კომპანიაში დანერგულია მდგრადი აუდიტის ხარისხის პროგრამა, რომელიც მოიცავს აუდიტის ხარისხის ყველა ასპექტს. მდგრადი აუდიტის ხარისხის პროგრამა გამოხატავს ჩვენს ძალისხმევას უზრუნველყოთ მთელ მსოფლიოში თანაბრად მაღალი ხარისხის აუდიტის მომსახურების გაწევა. უფრო დაწვრილებით ჩვენი ხარისხის მართვის პროგრამებსა და ძალისხმევაზე შეგიძლიათ წაიკითხოთ ჩვენს ვებგვერდზე - https://www.ey.com/en_gl/audit-quality.



რუსლან ხოროშვილი

დირექტორი

27 დეკემბერი, 2024